
„გროვა ღრუბლების“ პარამეტრიზაცია–კეინ ფრიჩის ახალი სქემა NAM მოდელიდან: აღნიშნული სქემა აღწერს ღრმა და არაღრმა კონვექციურ პროცესებს დაღმავალი მასური ნაკადების მიდგომით (Kain, 2004; 1992; 1993).

მიკროფიზიკური სქემა – ლინისა და სხვ. სქემა: ამ პროცესების აღსაწერად მოდელში გამოყენებულია მე-5 კლასის სიმულაციური სქემა, რომელიც ითვალისწინებს თოვლისა და ყინულის არსებობას და მოსახერხებელია რეალური მონაცემების მაღალი გარჩევისუნარიანობით (5 კმ-ზე ნაკლები) ამოხსნისას (Lin, 1983).

სასაზღვრო ფენის სქემა – იონსის უნივერსიტეტის სქემა: არალოკალური K-სქემა, არაცხადი გადატანითი ფენითა და არასტაბილურ შერეულ სქემაში K-პარაბოლური პროფილით (Skamarock et.al., 2005).

დედამიწის ზედაპირის ფიზიკა – NOAA-ს ხმელეთის ზედაპირის მოდელი: უნიფიცირებული NCEP/NCAR/AFWA-ს სქემა 4-ფენიანი ნიადაგის ტემპერატურისა და სინოტივის, ფრაგმენტული თოვლის საფარისა და ნიადაგის წაყინვის ფიზიკის გამოყენებით.

ზედაპირის ფენების ფიზიკა –მეზომასშტაბური მოდელის (MM5) მსგავსების სქემა: ეფუძნება მონინ-ობუხოვის სქემას კარლსონ-ბოლანდის ვისკოზური ქვე-ფენისა და მსგავსების სტანდარტულ ფუნქციებს (Skamarock et.al., 2005).

გრძელტალღიანი რადიაციის ფიზიკა – რადიაციის სწრაფი გადატანის (RRTM) სქემა: დაზუსტებული სქემა, ითვალისწინებს რთულ ნარევებს, მცირე გაზურ მინარევებს და ნაწილაკების მიკროფიზიკას, ასევე, ღრუბლებთან ურთიერთქმედებას.

მოკლეტალღიანი რადიაციის ფიზიკა – დუდიას სქემა: მარტივი დაღმავალი ინტეგრირების სქემა, რომელიც ითვალისწინებს ღრუბლებისა და მოწმენდილი ცის მიერ შთანთქმისა და გაბნევის პროცესებს, არ ითვალისწინებს აეროზოლებს.

იმის გათვალისწინებით, რომ ისეთი პარამეტრების შერჩევა, რომელთა კომბინაციაც ყველაზე კარგად აღწერს შესასწავლ რეგიონში დომინანტულ მეტეოროლოგიურ მოვლენებს ხშირად არ არის ადვილი. მრავალი შრომა მიემდგვნა ამ პრობლემის გადაწყვეტას, რაც გულისხმობს იმას, რომ WRF მოდელში შეირჩეს პარამეტრების საუკეთესო კომბინაცია, რომელიც ყველაზე კარგად წარმოაჩენს საკვლევი რეგიონის ატმოსფერული პროცესების ტიპსა და სიძლიერეს (Orlando, 2014; Segele et al., 2013; Silva et al., 2010; Yair, 2010; Kain, 2004; Gilliland, 2007; Wang, 1997; Ma, 2009; Hong, 2004; Ferrier, 2020; Lin et al., 1983; Janjić, 1994; 2000; Kain, 1992; 1993; Grell & Dévényi, 2002; Duda, 2011; Davitashvili et al., 2011). მაგალითად, როგორც კვლევამ აჩვენა მიკროფიზიკური პარამეტრიზაციის სქემების სამი ძირითადი კომბინაცია (WRF- მე-3 კლასის მარტივი სქემა (WSM3) (Hong, 2004), ეტა ფერიერის სქემა (Ferrier, 2020), პუნდუე ლინის სქემა (Lin et al., 1983) და ღრუბლების 3 სქემა: კაინ ფრიჩის სქემა (Kain, 2004), ბეტს-მილერ-ჯანჯიჩის სქემა (Janjić, 1994; 2000), გრელ-დევენჯის სქემა (Grell & Dévényi, 2002) ყველაზე კარგად აღწერს ატმოსფერულ პროცესებს ბრაზილიის სამხრეთ-

აღმოსავლეთ ნაწილში (Zepka et al., 2010). ასევე, რიცხვითი გათვლების ანალიზმა აჩვენა, რომ WSM3-ის ნაკრები კაინ-ფრიჩის და ეტა ფერარის სქემები ბეტს-მილერ-ჯანჯიჩის სქემასთან ერთად ყველაზე კარგად წარმოგვიდგენს ატმოსფეროს დაბალ და საშუალო დონეზე ტემპერატურისა და ქარის მნიშვნელობებს, ვიდრე პუნდუე ლინისა და გრელ დევენჯის სქემები. WRF მოდელის გამოყენებით ექვს სხვადასხვა კონვექტიური პარამეტრიზაციის სქემებში (CP's) შეისწავლებოდა ნალექების პროგნოზის ხარისხი ტანზანიისათვის წვიმის ორი სეზონისათვის. რიცხვითი გათვლების შედეგებმა აჩვენა, რომ ექსტრემალური ნალექების პროგნოზმა ბეტს-მილერ-ჯანჯიჩის (BMJ) და გრელ-დევენჯის (GD) სქემებით მოგვცა ყველაზე კარგი შედეგი ტანზანიის ზოგიერთი რაიონებისათვის (Orlando, 2014). რვა მიკროფიზიკური სქემა (Lin, WSM5, Eta, WSM6, Goddard, Thompson, WDM5, WDM6) და სამი მიღებული შედეგებიდან შეიძლება გამოითქვას აზრი, რომ ყველაზე ზუსტად ხორციელდება ტროპოსფეროს დონეზე ტენიანობის, ტემპერატურისა და ქარის პროფილის ველების მიღება (Segele et al., 2013). WRF საშუალებით დათვლილმა 24-საათიანმა პროგნოზის შედეგებმა აჩვენა, რომ კაინ-ფრიჩის, ბეტს-მილერ-ჯანჯიჩის (BMJ) და გრელის სქემებით მიღებული შედეგი არ იყო ზუსტი, ხოლო არაკავას ღრუბლების პარამეტრიზაციის სქემები შემდეგ მიკროფიზიკურ სქემებთან ერთად, RUC Land surface მოდელი, Asymmetric Convective მოდელი (ACM2), პლანეტარული სასაზღვრო ფენის ფიზიკა გვაძლევს უკეთეს შედეგებს, ვიდრე სხვა სქემები (Silva et al., 2010). ნალექების პროგნოზის რაოდენობრივი შედარება კაინ-ფრიჩის სქემის სხვადასხვა მოდიფიკაციისათვის შესწავლილია (Duda, 2011)-ში, სხვა სქემებს შორის კაინ-ფრიჩის სქემა (Kain, 2004; 1992; 1993) ხშირად გამოიყენება კონვექტიური პარამეტრიზაციის პროგნოზირებისათვის ბადის წერტილების 20 კმ-იანი ბიჯით, ამიტომ, როგორც ვაჩვენეთ კონვექტიური პარამეტრიზაციისათვის კაინ-ფრიჩის სქემა უკეთესია ვიდრე სხვა სქემები (Gilliland, 2007; Wang, 1997; Ma, 2009). ზემოთ ჩამოთვლილი შრომების ანალიზის შედეგად ჩვენს მიერ კავკასიის რეგიონში ატმოსფერული პროცესების გამოკვლევისათვის WRF მოდელის საშუალებით გამოიყენება შემდეგი ტიპის სქემები: WSM 3-კლასის მარტივი სქემა, RRTM, დუდიჩის

სქემა, გაერთიანებული ნოასა და ზედაპირის მოდელი, იონსის უნივერსიტეტის სქემა, კაინ-ფრიჩის სქემა და Noah land მოდელის სქემა (Davitashvili et al., 2009; 2011). ჩვენს კვლევაში WRF მოდელი გამოვიყენეთ რთული ოროგრაფიის პირობებში ძლიერი წვიმებისა და სეტყვის პროცესების პროგნოზირებისათვის ფიზიკური პარამეტრების სხვადასხვა კომბინაციის დროს. მეზომასშტაბური კონვექციური სისტემების (MCS) შესასწავლად გამოვიყენეთ რეალური მონაცემები და WRF სიმულაციებისათვის ბადის წერტილებს შორის ინტერვალი ვცვალეთ 2.2 კმ-დან 19.8 კმ-მდე, სადაც განსაკუთრებით აქცენტი გავაკეთეთ 2.2 კმ-იან ბადეზე. WRF მოდელის საშუალებით ნალექების პროგნოზის სქემებში სხვადასხვა მიკროფიზიკურ და კონვექტიურ სქემების კომპონენტებთან ერთად გათვალისწინებულია საქართველოს ტერიტორიის რთული ოროგრაფია ბადის განსხვავებული ინტერვალების სიზუსტით.

3.2 რიცხვითი გათვლები WRF მოდელის პარამეტრიზაციის სქემების საშუალებით.

ჰიდრომეტეოროლოგიური დაკვირვებები და გამოკვლევები საქართველოში დაიწყო 1887 წელს და 1974 წლისათვის საქართველოში არსებობდა 33 ჰიდრომეტეოროლოგიური სადგური, რომელიც განაწილებული იყო 11 რაიონში. საქართველოში 1940 წელს ყველაზე მეტი (160) მეტეოროლოგიური სადგური იყო. კლების ტენდენცია 1950-იანი წლებიდან დაიწყო (145). 1990 წლისთვის საქართველოში 105 მეტეოროლოგიური სადგური ფუნქციონირებდა, ხოლო შემდგომ წლებში მათი რაოდენობა მნიშვნელოვანი კლების ტენდენციით ხასიათდებოდა. 1992 წელს საქართველოში განვითარებული პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობის გამო შეფერხდა ჰიდრომეტეოროლოგიური სადგურების მუშაობა (<https://factcheck.ge/wp-content/uploads/2015/08/file0011.pdf>). სადგურების რაოდენობა შემცირდა და ზოგიერთი მწყობრიდან გამოვიდა. 2012 წლიდან მეტეოროლოგიური სადგურების რაოდენობა მცირედით, მაგრამ მაინც გაიზარდა (20-დან 29-მდე). რაც შეეხება მეტეოროლოგიურ საგუშაგოებს, ყველაზე მეტი საგუშაგო 1960 წელს იყო (100), შემდგომ წლებში მათი რაოდენობა შემცირდა (1970 წელი - 78, 2005 წელი -

24). 2010 წლიდან კი, მეტეოროლოგიური საგუშაგოების რაოდენობა მცირედით გაიზარდა და 2015 წლისთვის 51-ს მიაღწია. 2015 წლიდან დღემდე (2015 წლის 13 ივნისის ტრაგედიის შემდეგ) აღმოსავლეთ საქართველოში განსაკუთრებით გაიზარდა მეტეოროლოგიური სადგურების რაოდენობა.

რიცხვითი მოდელირებითა და სტატისტიკური მეთოდებით ჩვენ შევისწავლეთ და გავანალიზეთ 9 საშიში მეტეოროლოგიური მოვლენა, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ 2015–2020 წლების განმავლობაში აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. სადისერტაციო ნაშრომში კი წარმოდგენილია და შესწავლილია ორი საშიში ტიპური მეტეოროლოგიური მოვლენა თავისი მძიმე შედეგებით. ამკარაა, რომ მეტეოროლოგიური სადგურების ეს მცირე რაოდენობა არ არის საკმარისი საქართველოს ტერიტორიაზე ატმოსფეროს მდგომარეობის გამოსაკვლევად, რადგან რეალურად ჩვენ გვაქვს მეტეოროლოგიური ინფორმაცია მხოლოდ იმ ლოკალური ტერიტორიებისა, სადაც სადგურებია განლაგებული. ამიტომ ჩვენს მიერ მოპოვებული და გაანალიზებულია 2015 წლის 13 ივნისის (13 ივნისის ტრაგედია) და 20-21 აგვისტოს მწირი მეტეოროლოგიური მონაცემები (ჰაერის ტემპერატურა, ნალექების რაოდენობა, ჰაერის ტენიანობა, ქარი (სიჩქარე, მიმართულება). აღნიშნული მონაცემები იყო მოპოვებული საქართველოს ჰიდრომეტ. დეპარტამენტიდან და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეტეოროლოგიური სადგურიდან. აგრეთვე ჩვენ ვაწარმოეთ ღრუბლების სტრუქტურის ანალიზი, რომელიც მივიღეთ სიღნაღის მეტეოროლოგიური რადარიდან და მიღებული მონაცემები შევადარეთ WRF მოდელით მიღებულ შედეგებს.

თბილისში 2015 წლის 13-14 ივნისს იყო ძლიერი წვიმა, ელჭექით. საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიის დეპარტამენტის მონაცემებით 13 ივნისს 1 სთ-ზე ჰაერის მაქსიმალურმა ტემპერატურამ თბილისში მიაღწია 29⁰C, სამხრეთიდან შემოსულმა თბილი ჰაერის მასებმა გამოიწვია ტემპერატურის მომატება და შესაბამისად აღმავალი ნაკადების გაძლიერება, რის შედეგადაც განვითარდა ელჭექური ხასიათის გროვა-საწვიმარი ღრუბლები. კერძოდ, 2015 წლის 13 ივნისს მოვიდა 1.5-2 საათიანი წვიმა, უხვი ნალექის შედეგად თბილისიდან დასავლეთით 20 კმ მანძილზე სოფელ

ახალდაბაში ჩამოწვა მეწყერი. 10⁶ მ3 მიწა, ტალახი და ხეები ჩაიტანა წყალმა ახალდაბიდან თბილისში, რამაც გზა გადაუკეტა მდ. ვერეს (მდ. ვერე მოედინება ახალდაბის მთიანი ტერიტორიიდან, გაივლის თბილისის ზოოპარკის მიმდებარე ტერიტორიას და გმირთა მოედანზე გვირაბის საშუალებით ჩაედინება მდ. მტკვარში). ადიდებულმა ტალღამ გმირთა მოედანმდე ჩაიტანა ყველაფერი რაც გზად დახვდა. წყალდიდობის შედეგად ძლიერ დაზარალდა თბილისის ზოოპარკი, გმირთა მოედანზე მდებარე ქუჩები და სახლები. სამწუხაროდ ამ პროცესის შედეგად 20 ადამიანი დაიღუპა, მათ შორის 3 ზოოპარკის თანამშრომელი. ზოოპარკში მოხინაძრე ცხოველთა ნახევარი ზოგი დაიკარგა, ნაწილი კი წყალში დამხრჩვალი იპოვნეს.

2015 წლის 19 აგვისტოს თბილისში დასავლეთიდან შემოვიდა ატმოსფერული ფრონტი, რასაც დაერთო შიდა მასიური პროცესი, რის შედეგადაც მოვიდა თბილისში ძლიერი წვიმა ელჭექით, საქართველოს ზოგიერთ რაიონში დაფიქსირდა ძლიერი სეტყვაც. მაქსიმალური ჰაერის ტემპერატურა თბილისში 20 აგვისტოს იყო 36 °C, ხოლო 21 აგვისტოს 31 °C. ძლიერმა წვიმამ, რომელსაც თან სეტყვა ახლდა დაანადგურა მოსავალი კახეთის ზოგიერთ რაიონში, თბილისის შემოგარენში კოჯორსა და კიკეთში საცხოვრებელი სახლები მთლიანად დაიტბორა, ნახევარსაათიანმა გადაუღებელმა წვიმამ და სეტყვამ კახეთის ზოგიერთ რაიონში (გურჯაანი, ყვარელი და ლაგოდეხი) საცხოვრებელი სახლები დააზიანა, განაგურდა ხეხილი და ნათესი კულტურები <http://eng.kavkaz-uzel.ru/articles/21952/>).

ყველაზე ძლიერი სეტყვა კახეთის რეგიონში დაფიქსირდა 2012 წლის ივლისში, რომელმაც კახეთის ზოგიერთ სოფელში ნათესების 100% გაანადგურა, დაზიანდა ასობით საცხოვრებელი სახლი და დაიღუპა ძალიან ბევრი შინაური ცხოველი. სეტყვისგან დაცვა ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო კახეთის რეგიონისთვის, რადგან იგი ყველაზე დიდ ზარალს აყენებს ამ რეგიონში ერთერთ წამყვან კულტურას ვაზს, ამიტომ საჭირო გახდა ამ პრობლემის მოგვარება. 2015 წელს სიღნაღის რაიონში სსსტც „დელტა“-ს მიერ დამონტაჟდა სარადარო სისტემა, რომლითაც ხორციელდება კონვექტიურ ღრუბლებზე დაკვირვება, კახეთის სხვადასხვა

რეგიონში კი დაიდგა 80-მდე საცეცხლე წერტილი, რისი საშუალებითაც ხორციელდება ღრუბლებზე ზემოქმედება.

ჩვენ WRF-ARW-ის 3.6 ვერსია გამოვიყენეთ 2015 წლის 13-14 ივნისისა და 19-20 აგვისტოს ნალექების სიმულაციისათვის. ჩვენს კვლევაში გამოვიყენეთ ცალმხრივად ჩადგმული ბადეები, რომელიც მორგებული იყო საქართველოს ტერიტორიისათვის. კერძოდ, სიმულაციისათვის გამოვიყენეთ 2 დონიანი რიგი ჰორიზონტალური ბადის წერტილებით 6,6 კმ და 2,2 კმ გაფართოებით. ერთ დონეზე გვაქვს ბადის წერტილები 94×102 , რომელიც ფარავს სამხრეთ კავკასიის ტერიტორიას და შიგნით ჩაწყობილია ბადე ზომით 70×70 , რომელიც მოიცავს მხოლოდ საქართველოს ტერიტორიას. ორივე გამოიყენება 54 ვერტიკალურ დონეზე, აქედან 8 დონე მოთავსებულია 2 კმ-ის ქვემოთ. ორმაგი ბადისათვის გამოიყენებულია 10 წამიანი დროითი ბიჯი. მოდელი მოიცავს რამდენიმე განსხვავებულ ფიზიკურ პარამეტრებს, როგორცაა, მიკროფიზიკა, ღრუბლების ფიზიკა, დედამიწის ზედაპირის ფიზიკა, პლანეტარული სასაზღვრო ფენის ფიზიკა. მიკროფიზიკა განსაზღვრავს წყლის ორთქლს, ღრუბლებს და ნალექებს. არსებობს მთელი რიგი მიკროფიზიკური სქემები, როგორცაა კესლერის სქემა, პუნდუე ლინის სქემა, მარტივი მე-3 კლასის სქემა (WSM3), WSM5 სქემა, WSM6 სქემა, Eta Grid-scale ღრუბლებისა და ნალექების სქემა, ტომსონის სქემა, გოდარდის ღრუბლების ანსამბლის სქემა, მორისონის სქემა. ჩვენს კვლევებში შევარჩიეთ WSM6, ტომსონის, პუნდუე ლინის, მორისონისა და გოდარდის სქემები. ღრუბლების პარამეტრიზაციის სქემა პასუხისმგებელია კონვექტიური ან ფენა ღრუბლების წარმოდგენაზე. ჩვენ ექსპერიმენტისთვის ავირჩიეთ კაინ-ფრიჩის, ბეტს-მილერ-ჯანჯიკისა და პლეიმ-ქსიუ (Pleim-Xiu) დედამიწის ზედაპირის მოდელი, ეს მოდელები არიან სპეციალურად შექმნილი დედამიწის ზედაპირისთვის. ჩვენ ავირჩიეთ NOAA დედამიწის ანსამბლის სქემები. პლანეტარული სასაზღვრო ფენა პასუხისმგებელია ქვეწყობილი ბადის ვერტიკალურ მაშტაბებში იმ დინებებზე, რაც შემოდის მთელს ატმოსფეროში. პლანეტარული სასაზღვრო ფენის პარამეტრიზაციას აქვს დიდი მნიშვნელობა როგორც ვერტიკალური ქარის მნიშვნელობაზე, ისე ნალექების ევოლუციაზე (Monin


et al.,1954; Hong & Lim, 2006; Cohen et al., 2015). ამ შრომებში შეჯამებულია ძირითადი მახასიათებლები და ნაჩვენებია განსხვავება WRF-ის სხვადასხვა სქემებს შორის და აგრეთვე შესწავლილია, თუ როგორ განიცდის ევოლუციას პლანეტარული სასაზღვრო ფენა ARW-მიხედვით 4 კმ-იანი ზადის ინტერვალით. არსებობს PBL – ის მთელი რიგი სქემები, როგორცაა იონსის უნივერსიტეტის სქემა, Mellor-Yamada-Janjic სქემა, MRF სქემა, ასიმეტრიული კონვექტიური მოდელის სქემა, კვაზი-ნორმალური მასშტაბის Elimination and Mellor-Yamada Nakanishi და Niino სქემების სხვადასხვა ვარიანტები. (Cohen et al., 2015)-ის მიხედვით ჩვენ ავირჩიეთ იონსის უნივერსიტეტის და ACM2 PBL სქემები. მიწის ზედაპირზე მოდელები იყენებენ ატმოსფერულ ინფორმაციას ზედაპირის ფენების სქემიდან, რადიაციის მონაცემები აიღება რადიაციული სქემებიდან, ხოლო ნალექები მიკროფიზიკიდან და კონვექტიური სქემებიდან. შიდა ინფორმაციასთან ერთად მოცემული ადგილის ზედაპირის მიხედვით სითბოსა და ტენიანობის მნიშვნელობები განსხვავებულია ხმელეთისა და წყლის ზედაპირზე. 5 ფენიანი თერმული დიფუზიის მოდელი, Noah-ს დედამიწის ზედაპირის მოდელი, RUC დედამიწის ზედაპირის მოდელი და განვიხილეთ მიკროფიზიკის, ღრუბლების პარამეტრიზაციის სქემების, პლანეტარული სასაზღვრო ფენის ფიზიკის სხვადასხვა კომბინაციები, ექსპერიმენტის შედეგები მოცემულია ცხრილ.3.2.1-ში.

ცხრ. 3.2.1. WRF-ARW-ის 3.6 მოდელის პარამეტრიზაციის ხუთი ნაკრები, რომლებიც გამოყენებულია კვლევებში.

WRF Physics	Set1	Set 2	Set 3	Set 4	Set 5
Micro physics	WSM6	Thompson	Purdue Lin	Morrison 2-Moment	Goddard
Cumulus Parameterization	Kain-Fritsch	Betts-MillerJanjic	Kain-Fritsch	Grell-Devenyi ensemble	Kain-Fritsch
Surface Layer	MM5 Simil.	MM5 Simil.	MM5 Simil	(PX) Similarity	MM5 Similarit
Planet. Boundary Layer	YSU PBL	YSU PBL	YSU PBL	ACM2 PBL	YSU PBL
Land-Surface	Noah LSM	Noah LSM	Noah LSM	Noah LSM	Noah LSM


Atmospheric Radiat.	RRTM /Dudhia	RRTM /Dudhia	RRTM /Dudhia	RRTM/Dudhia	RRTM/Dudhia
---------------------	--------------	--------------	--------------	-------------	-------------

საქართველოს ტერიტორიაზე 2015 წლის 13 ივნისისა და 19-20 აგვისტოს მომხდარი მეტეოროლოგიური პროცესების კვლევა განხორციელდა WRF-ARW მოდელის 5 სხვადასხვა ფიზიკური პარამეტრების კომბინაციის როგორცაა მიკროფიზიკა, ღრუბლების პარამეტრიზაციის ფიზიკა, რადიაციის ფიზიკა, დედამიწის ზედაპირის ფიზიკა და პლანეტარული სასაზღვრო ფენის ფიზიკა (ცხრ.3.2.1). რიცხვითი თვლის შედეგებმა აჩვენა, რომ ცხრ.3.2.1-ში ჩამოთვლილი პარამეტრების არცერთი კომბინაციის შედეგად არ დაფიქსირდა 13 ივნისის განვითარებული ატმოსფერული პროცესი. კერძოდ, რიცხვითი თვლის შედეგებმა აჩვენა, რომ 24 საათიანი პოგნოზულმა სქემებმა არ მოგვცეს დამაკმაყოფილებელი შედეგი, ე.ი ამ სქემების საშუალებით ვერ ხერხდება მცირე მასშტაბის, ლოკალური კონვექტიური პროცესების დაფიქსირება, თუმცა ამავე დროს შესაძლებელია ეს კონვექტიური პროცესები ძალიან ძლიერი იყოს. მაგალითად, ნახ.3.2.1-ზე მოცემულია 850 მბ-იან დონეზე 2015 წლის 13 ივნისის და 14 ივნისის ფარდობითი ტენიანობის რიცხვითი თვლის შედეგები, შესაბამისად, რომელთა მნიშვნელობები მიღებულია WRF-ARW-ის 3.6 ვერსიის ფიზიკური პარამეტრით მოცემული Set1 (ამ შემთხვევაში შედარებით უკეთესი შედეგი დაფიქსირდა). ნახ.3.2.1 (a.b)-ზე (ბადეები 6.6 კმ ბიჯით) წარმოდგენილი წყლის ორთქლის რაოდენობა არ იყო საკმარისი იმისთვის, რომ მოდელს დაეფიქსირებინა 13 ივნისის მეტეოროლოგიური პროცესი.




ნახ.3.2.1. 2015 წლის 13-14 ივნისის ფარდობითი ტენიანობა.

ნახ.3.2.2-ზე ნაჩვენებია WRF-ARW-ის 3.6 ვერსიით დათვლილი 24 საათიანი პროგნოზის შედეგები 850 მბ-იან ზედაპირზე 2015 წლის 13 (21 სთ) ივნისისა და 14 (00 სთ) ივნისისათვის შესაბამისად. ორივე სურათზე კარგად ჩანს WRF-ARW მოდელის წარუმატებლობა 24 საათიანი პროგნოზის შემთხვევაში, განსაკუთრებით საკვლევ ტერიტორიაზე ამ დროისთვის გვაქვს ნალექების მხოლოდ უმნიშვნელო რაოდენობა. კერძოდ ნახ.3.2.2a-სა და ნახ.3.2.2b-ს შედარება გვიჩვენებს, რომ ნალექები ძირითადად თავმოყრილია შავი ზღვის სანაპირო ტერიტორიაზე, მაგრამ ნახ.3.2.2a-ზე შედარებით მეტი ნალექებია თავმოყრილი საკვლევ ტერიტორიაზე, ვიდრე ნახ.3.2.2b-ზე. სამწუხაროდ, ამ საქმის შესწავლისათვის ნალექების ყველა სიმულაცია საინტერესო რეგიონში არ იყო კონვექტიური ბუნების, ამიტომ მხოლოდ ნალექების მცირე რაოდენობა დაფიქსირდა WRF-ARW მოდელის მიერ. როგორც ცნობილია GPSs არის ნალექწარმომქმნელი და არა მიკროფიზიკური სქემა, ეს ნიშნავს, რომ GPSs-ის არჩეული კომბინაცია არ არის ნალექწარმოებელი სქემა მეზომასტაბური შესწავლის დროს. მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ ყველაზე მკაფიო შედეგების მიღება მოხერხდა ტროპოსფეროს ქვედა საზღვარზე ტემპერატურისა და ქარის ველისათვის. ჩვენი აზრით აუცილებელია დაზუსტდეს მონაცემების საწყისი და სასაზღვრო პირობები, რაც გააუმჯობესებს კავშირს სხვადასხვა ფიზიკურ პარამეტრებს შორის.




ნახ.3.2.2. 12 სთ-იანი ჯამური ნალექების პროგნოზი.

გარდა ამისა WRF-ARW მოდელის 3.6 ვერსია იყო გამოყენებული 20 აგვისტოს მეტეოროლოგიური პროცესების სიმულაციისათვის, ფიზიკური სქემების 5 სხვადასხვა კომბინაციის საშუალებით (ცხრ.3.2.1). რიცხვითი გათვლების შედეგებმა აჩვენა, რომ ოროგრაფია მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ნალექების ლოკალიზაციასა და ინტენსიობის გაძლიერებაში. წინა კონვექტიური გარემო, გამოწვეული მთა-ხეობის ფერდობებზე ჰაერის ნაკადების აღმასვლით, რაც წარმოქმნის დღის განმავლობაში მცირე მასშტაბიან ატმოსფერულ ცირკულაციებს, წარმოქმნილი მეზომასშტაბური გრიგალები, ისევე როგორც ატმოსფეროს სასაზღვრო ფენის ცვლილებები, გავლენას ახდენს მიმდინარე მეტეოროლოგიურ პროცესებზე. რიცხვითმა გათვლებმა აჩვენა, რომ პურდუე ლინის (Purdue Lin) სქემის კომბინაცია კაინ-ფრიჩის (Kain-Fritsch) სქემასთან და MM5 Similarity Surface Layer (Set 3) სქემასთან და გოდაედის სქემა კაინ-ფრიჩის სქემასთან და MM5 Similarity Surface Layer სქემასთან (Set 5) გვაძლევს უკეთეს შედეგს ვიდრე სხვა სქემები. არჩეული კონვექტიური შემთხვევები SET3-სა და SET5-სათვის ნაჩვენებია ნახ.3.2.3-3.2.4-ზე, შესაბამისად. რიცხვითმა გათვლებმა აჩვენა, რომ ნამდვილად არსებობს ისეთი ბუნებრივი მასშტაბები, რომელთა კონვექტიური პარამეტრიზაცია მოხდება WRF მოდელის საშუალებით.



ნახ.3.2.3. 12 სთ-იანი ჯამური ნალექების პროგნოზი ზადის წერტილების 2.2 კმ ბიჯით.



ნახ.3.2.4. 12 სთ-იანი ჯამური ნალექების პროგნოზი ზადის წერტილების 2.2 კმ ბიჯით.

ნახ.3.2.3-სა და ნახ.3.2.4-ს შედარება გვიჩვენებს, რომ ჯამური ნალექები პროგნოზი ორივე შემთხვევაში თითქმის ერთნაირია, მაგრამ მისი განვითარების დინამიკის შესწავლამ და მისმა შედარებამ დაკვირვებულ მონაცემებთან აჩვენა, რომ SET3-ზე დათვლილი მონაცემები უფრო ზუსტად აღწერს იმ ატმოსფერულ პროცესებს,

რომელსაც ადგილი ჰქონდა 2015 წლის 19-20 აგვისტოს. საერთო ჯამში შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული მოდელი შეიძლება წარმატებით გამოვიყენოთ ლოკალური ატმოსფერული პროცესების პროგნოზირებისათვის, დასავლეთის ტიპის სინოპტიკური პროცესებისთვის, რომელსაც ადგილი ჰქონდა 2015 წლის 19-20 აგვისტოს საქართველოს ტერიტორიაზე.

3.3 Ready სისტემის მონაცემები და მეთოდები.


მთავორიან რეგიონებში ატმოსფეროში მიმდინარე პროცესების ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ჰაერის მასების ვერტიკალურ მოძრაობას. რთული ოროგრაფიის მქონე ტერიტორიებზე, რელიეფის გავლენით ძლიერდება ჰაერის მასების კონვექცია რაც იწვევს ძლიერი კონვექციური ღრუბლების ფორმირებას (Robert, 2011). ხშირ შემთხვევებში (როგორც წინა პარაგრაფში განხილული მაგალითებიდანაც ჩანს) მცირე დროში მიმდინარე, ლოკალური ხასიათის საშიში კონვექციური პროცესების პროგნოზი რიცხვითი მეთოდებით ყოველთვის ვერ იძლევა კარგ შედეგებს. ამიტომ ამინდის პროგნოზირების საყოველთაოდ გავრცელებულ რიცხვითი მეთოდებთან ერთად საჭიროა შემუშავებულ იქნას განსხვავებული მიდგომები და მეთოდები. კერძოდ მოსალოდნელი კონვექციური პროცესების ხარისხის შესაფასებლად საჭიროა შევისწავლილ იქნას ატმოსფეროს თერმოდინამიკური მდგომარეობა და დადგენილ იქნას ატმოსფეროს არამდგრადობის ხარისხი მოსალოდნელი ლოკალური ხასიათის საშიში კონვექციური პროცესების პროგნოზირებისთვის. ატმოსფეროს არამდგრადობის ხარისხის შესაფასებლად საჭიროა ატმოსფეროს ვერტიკალური სტრუქტურის შესწავლა. დღესდღეობით რადიოზონდის ფუნქციონირება გარკვეულ ფინანსურ ხარჯებთანაა დაკავშირებული და მისი გამოყენება ზოგიერთ განვითარებად ქვეყანებში თითქმის აღარ ხდება (მათ შორის საქართველოშიც). ატმოსფეროში მიმდინარე პროცესების ეფექტური და დროული პროგნოზირებისათვის NOAA-ს ARL- ის მიერ შეიქმნა სისტემა READY ([http:// www.ready.noaa.gov](http://www.ready.noaa.gov)). იმისათვის, რომ მოგვეხდინა ატმოსფეროს თერმოდინამიკური მდგომარეობის შესწავლა განხილული

დღეებისათვის გამოვიყენეთ ARL-ის არქივის მონაცემები 0.5^o ჰორიზონტალური რეზოლუციით და თითოეული განხილული დღისათვის ავაგეთ ნაწილაკის მდგომარეობის მრუდი. არამდგრადობის ენერჯისა და კონვექტიური ჩახშობის ენერჯის რიცხვითი მნიშვნელობები აღებულია ასევე ARL-ის READY სისტემის არქივიდან ჰორიზონტალური რეზოლუციით 1.0^o (~111 კმ)) (Rolph et al., 2017; Stein et al., 2015).

NOAA-ს ARL-ი ატმოსფეროში მიმდინარე სხვადასხვა ტიპის დაკვირვების შედეგად მიღებულ მონაცემებს ამუშავებს და ანალიზებს. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა რადიოზონდის მონაცემებს, სხვადასხვა მოდელების საშუალებით ამ მონაცემებით შესაძლებელია შეფასდეს გლობალური კლიმატური ცვლილებები. გარემოს პროგნოზირების ეროვნული ცენტრი (NCEP) უშვებს ამინდის პროგნოზირებისა და ანალიზის მთელ რიგ სერიებს. ერთერთი ოპერატიული სისტემა არის GDAS (გლობალურ მონაცემთა ასიმილაციური სისტემა). ჩვენს მიერ საწყისი მონაცემები გლობალური პროგნოზირებისათვის აღებულია GDAS-დან. GDAS იღებს ყველა არსებულ გლობალური დაკვირვების (სატელიტური, რადიოლოკაციური, რადარის მონაცემები) შედეგად მიღებულ მონაცემებს და უკეთებს ანალიზს (<https://www.ncdc.noaa.gov>). 3 საათიანი არქივის მონაცემები აღებულია NCER-ის GDAS სისტემიდან (GDAS უშვებს დღეში 4-ჯერ მონაცემებს: 00, 06, 12, 18 UTC). NCER-ის GDAS სისტემიდან გამოდის აგრეთვე ყოველი სამი საათის შემდეგ პროგნოზული მონაცემები (03, 06, 09 და ა.შ.). NOAA-ს ARL-ის READY სისტემა გვაძლევს საშუალებას გეოგრაფიული კოორდინატების მითითებით ნებისმიერ ტერიტორიაზე მივიღოთ ატმოსფეროს ვერტიკალური განაწილების სურათი, გავაკეთოთ ატმოსფეროს მდგომარეობის ანალიზი.

აეროლოგიურ დიაგრამაზე (ნახ.3.3.1) ვერტიკალურ ღერძზე გადაზომილია წნევა (მბ), ხოლო ჰორიზონტალურ ღერძზე ტემპერატურა. ჰორიზონტალური უწყვეტი შავი წირები წარმოადგებს სტანდარტულ იზობარულ ზედაპირებს (1000 მბ-დან 100 მბ-მდე). მარჯვნივ დახრილი წითელი ხაზები არის იზოთერმები, რომლებიც გავლებულია 10^oC-იანი ინტერვალით. მარცხნივ დახრილი უწყვეტი შავი ხაზები

არის მშრალი ადიაბატები, ხოლო წყვეტილი ხაზებით წარმოდგეილია ნოტიო ადიაბატები (Blanchard, 1998). იზოთერმების მიმართ დახრილი სწორი ხაზები არის იზოგრამები- ნაჯერობის მდგომარეობაში ნარევის ფარდობითი წირები (saturated mixing ratio line), გარდა ამ ძირითადი წირებისა დიაგრამაზე დატანილია აგრეთვე ორი ცვლადი გრაფიკი: რეალური ატმოსფეროს ტემპერატურის განაწილების მრუდი (უწყვეტი წითელი ხაზი) და ნამის წერტილის მრუდი (უწყვეტი მწვანე ხაზი). გარემომცველი ატმოსფეროს ტემპერატურის განაწილების მრუდი გვიჩვენებს ატმოსფეროს ტემპერატურის ცვლილებას სიმაღლის მიხედვით. ხოლო ნამის წერტილის მრუდზე მოცემულია სიმაღლის მიხედვით ნამის წერტილის მნიშვნელობები. მარჯვენა სკალა წარმოადგენს ქარის მნიშვნელობებს სიმაღლის მიხედვით. ქვემოთ (წითლად) მითითებულია ზონდირების ადგილი, თარიღი და დრო (ნახ.3.3.1).



ნახ.3.3.1. აეროლოგიური დიაგრამა (2015 წლის 5 ივნისის 18 UTC).

ატმოსფეროს მდგომარეობა სტრატეფიკაციის მიხედვით შეიძლება იყოს მდგრადი, არამდგრადი და განურჩეველი. სტაბილურ სტრატეფიკაციის შემთხვევაში ატმოსფეროს აქვს უნარი შეინარჩუნოს ან შეაჩეროს ვერტიკალური მოძრაობები. ატმოსფეროში კონვექციის ხარისხის შესაფასებლად ნაწილაკთა მეთოდი წარმოადგენს ერთ-ერთ ფართოდ გავრცელებულ მეთოდს სადაც ვთვლით, რომ

დასაწყისში ნაწილაკს და გარემომცველ ატმოსფეროს ერთნაირი ტემპერატურები აქვთ და ნაწილაკის ზემოთ ასვლის დროს არ ხდება გარემოსთან სითბოცვლა, ანუ პროცესი მიმდინარეობს ადიაბატურად. რადგან თავდაპირველად ნაწილაკი არ არის გაჯერებული, ამიტომ კონდესაციის დონემდე იგი მოძრაობს მშრალადიაბატურად, ხოლო კონდესაციის დონეზე იგი ხდება ნაჯერი და კონდესაციის დონის ზემოთ აწევის შემდეგ იწყება კონდესაცია და გამოიყოფა კონდესაციის ფარული სითბო, რის გამოც ნაწილაკის ტემპერატურა უფრო ნელა ეცემა ვიდრე კონდესაციის დონემდე, ამის გამო ნაწილაკი განაგრძობს მოძრაობას ნოტიოადიაბატაზე (Blanchard, 1998). ნახ. 3.3.1-ზე ლურჯი უწყვეტი ხაზით წარმოდგენილია ნაწილაკის მდგომარეობის მრუდი. ნაწილაკის მდგომარეობის მრუდის ასაგებად დედამიწის ზედაპირზე ჰაერის ტემპერატურის მნიშვნელობიდან ვავლებთ მშრალადიაბატის პარალელურ წირს, ხოლო ნამის წერტილის შესაბამისი წერტილიდან ვავლებთ იზოგრამის პარალელურ წირს, მათი გადაკვეთის წერტილი იქნება ნაწილაკის კონდესაციის დონე, კონდესაციის დონიდან ვავლებთ ნოტიოადიაბატის პარალელურ წირს. მიღებული წირი არის ატმოსფერულ ჰაერში აღმავალი ნაწილაკის მდგომარეობის მრუდი, რომლის მდებარეობაც განსაზღვრავს ატმოსფეროს სტაბილურობის ხარისხს (თუ ჰაერის ინვერსიული ან იზოთერმული განაწილება გვაქვს, მაშინ მშრალი ადიაბატის პარალელური წირი გაივლება არა დედამიწის ზედაპირიდან, არამედ ინვესიის ზედა წერტილიდან).

ნახ.3.3.1-ზე აგებული მდგომარეობის მრუდი ახასიათებს ადიაბატურად აღმავალი ჰაერის ნაწილაკის ტემპერატურის ცვლილებას სადაც გათვალისწინებულ იქნა ის ფაქტი, რომ როგორც წესი ჰაერი შეიცავს გარკვეული რაოდენობის წყლის ორთქლს და ადიაბატურად აღმავალი ჰაერის ნაწილაკის ტემპერატურის ცვლილება კონდესაციის დონემდე (სადაც ჰაერის ნაწილაკი აღწევს ნაჯერ მდგომარეობას), მიმდინარეობს მშრალადიაბატური კანონის მიხედვით, ხოლო კონდესაციის დონის ზემოთ ნოტიოადიაბატური კანონის მიხედვით. საზოგადოდ ცნობილია, რომ როგორც წესი სტრატეფიკაციისა და მდგომარეობის მრუდები ერთმანეთს არ ემთხვევიან, ამის შედეგად ადიაბატურად აღმავალი ნაწილაკის ტემპერატურა და

სიმკვრივე განსხვავდება ატმოსფეროს ტემპერატურისა და სიმკვრივისაგან, იმ შემთხვევაში თუ ყველა დონეზე მდგომარეობის მრუდი სტრატოფიკაციის მრუდის მარჯვნივაა, მაშინ არამდგრადობის ენერგია დადებითია, ატმოსფეროში დიდი დადებითი ენერგია ხელს უწყობს კონვექტიური ღრუბლების განვითარებას, დადებითი არამდგრადობის ენერგიის შემთხვევაში ხდება მძლავრი კონვექციური მოძრაობები და ინტენსიური თავსხმა წვიმები (ATSC 3032).

ატმოსფეროს თერმოდინამიკური მდგრადობის ანალიზისათვის გამოვიყენოთ ნაწილაკის მეთოდი, სადაც ატმოსფეროს მდგომარეობის მაჩვენებელს წარმოადგენს ჰაერის ინდივიდუალური ნაწილაკის ყოფაქცევა. ატმოსფეროში იმ დონეზე, რომლის მახლობლათაც ვატარებთ ატმოსფეროს მდგომარეობის ანალიზს, გამოვყოთ ჰაერის ნაწილაკი და ვაიძულოთ იგი გადაადგილდეს საწყისი დონიდან ზევით ან ქვევით, იმისათვის, რომ ჰაერის ნაწილაკმა არ შეიტანოს არავითარი ცვლილება გარემომცველი ჰაერის სითბურ მდგომარეობაში აუცილებელია იგი ადიაბატურად გადავაადგილოთ, ამ შემთხვევაში ნაწილაკის ცვლილების მახასიათებელია მშრალადიაბატური გრადიენტი $\gamma_a = -\left(\frac{dT_i}{dz}\right)$ (მახლოებით $\gamma_a = 1^\circ\text{C}/100$ მ), ხოლო გარემომცველი ჰაერის ტემპერატურის განაწილება შეიძლება დავახასითოთ ტემპერატურის ვერტიკალური გრადიენტით: $\gamma = -\left(\frac{dT_l}{dz}\right)$.

ზოგადად ატმოსფეროს თერმოდინამიკური მდგომარეობა მშრალადიაბატური მოძრაობის მიმართ შეიძლება იყოს სამი სახის: $\gamma > \gamma_a$ - ატმოსფეროს ტემპერატურა უფრო სწრაფად ეცემა, ვიდრე $1^\circ/100$ მ-ზე. დაშვების თანახმად თავდაპირველად ატმოსფეროს და ნაწილაკს ერთიდაიგივე ტემპერატურები აქვთ ($T_{l0} = T_{i0}$, T_{l0} -არის გარემოს ტემპერატურა საწყის დონეზე, ხოლო T_{i0} ნაწილაკის ტემპერატურა, თუ ნაწილაკს მშრალადიაბატურად გადავაადგილებთ ზემოთ, რაღაც z_2 დონეზე, ნაწილაკისა და გარემოს ტემპერატურები გახდება შესაბამისად T_{i2} , T_{l2} , გარდა ამისა ამ დონეზე ნაწილაკის ტემპერატურა მეტია გარემოს ტემპერატურაზე ($T_{i2} > T_{l2}$). ხოლო $\rho_{i2} < \rho_{l2}$ რადგან $\rho_i = \rho_l$.

ყოველ დონეზე ერთეულოვანი მოცულობის ჰაერის ნაწილაკზე მოქმედებს ორი ძალა: სიმძიმის ძალა, რომელიც ქვემოთაა მიმართული $-g\rho_i$ და არქიმედეს ძალა

– $g\rho_l$, რომელიც მიმართულია ვერტიკალურად ზემოთ. ამ ორი ძალის ტოლქმედი არის მცურაობის ძალა, რომელიც მიმართულია ზემოთ, როცა $\rho_l > \rho_i$ და ქვემოთ, როცა $\rho_l < \rho_i$. მცურაობის ძალის გავლენით ნაწილაკი დებულობს აჩქარებას, რომელიც გამოისახება შემდეგი ცნობილი დამოკიდებულებით (ხვედელიძე, 2002; მატვეევი, 1987):

$$\frac{d^2z}{dt^2} = g \frac{\rho_l - \rho_i}{\rho_i} = g \frac{T_i - T_l}{T_l},$$

ამ შემთხვევაში ნაწილაკი შეიძენს დადებით აჩქარებას, ვინაიდან $T_{i2} > T_{l2}$. ამრიგად, ნაწილაკი თუ გადაადგილებულ იქნა რაგინდ მცირე მანძილზე იძენს აჩქარებასა და სიჩქარეს, რომელიც მიმართულია იმ მხარეს საითაც მან მიიღო მოძრაობა საწყის მომენტში. ნაწილაკის სიჩქარე მით უფრო იზრდება, რაც უფრო შორს გადაადგილდება იგი საწყისი დონიდან, ე.ი. ნაწილაკის წონასწორობა საწყის მდგომარეობაში არამდგრადია. ამიტომ ატმოსფეროს სტრატეფიკაცია, როცა $\gamma > \gamma_a$, ატარებს მშრალად არამდგრადი სტრატეფიკაციის სახელწოდებას.

იმ შემთხვევაში, როცა $\gamma = \gamma_a$, ატმოსფეროში სიმაღლის მიხედვით ტემპერატურა ეცემა $1^0/100$ მ-ზე. ამ შემთხვევაში სამივე დონეზე $T_{io} = T_{lo}$, $\rho_{io} = \rho_{lo}$.

ამრიგად რა დონეზეც არ უნდა მდებარეობდეს ჰაერის ნაწილაკი, მისი მოძრაობის აჩქარება ყოველთვის ნულია. ატმოსფეროს თერმული მდგომარეობა, როცა $\gamma = \gamma_a$ ატარებს მშრალად განურჩეველი სტრატეფიკაციის სახელწოდებას

როცა $\gamma < \gamma_a$, ატმოსფეროში სიმაღლის მიხედვით ტემპერატურა უფრო ნელა ეცემა ვიდრე $1^0/100$ მ-ზე, ამ შემთხვევაში $T_{io} < T_{lo}$, $\rho_{io} < \rho_{lo}$. ნაწილაკს აქვს უარყოფითი აჩქარება და დაიწყებს გადაადგილებას საწყისი დონისაკენ. ე.ი. ნაწილაკი, როცა $\gamma < \gamma_a$, ყოველთვის ბრუნდება საწყის მდგომარეობაში. ატმოსფეროს მდგომარეობას, როცა $\gamma < \gamma_a$ –ზე ატარებს მშრალად მდგრადი სტრატეფიკაციის სახელწოდებას.

კოდესაციის დონის ზემოთ ჰაერის ნაწილაკი უკვე გაჯერებულ მდგომარეობაში იმყოფება, ამიტომ ამ დონეებზე ატმოსფეროს სტრატეფიკაცია უნდა შეფასდეს ნოტიოადაბატური პროცესის მიმართ. ამ დროს ისევე როგორც მშრალადაბატური პროცესის დროს შესაძლებელია არსებობდეს ატმოსფეროს სტრატეფიკაციის სამი

სხვადასხვა სახე: 1. $\gamma > \gamma'_a$ - ნოტიოარამდგრადი. 2. $\gamma = \gamma'_a$ - ნოტიოგანურჩეველი. 3. $\gamma < \gamma'_a$ - ნოტიომდგრადი. ხოლო მშრალადიაბატური და ნოტიოადიაბატური მოძრაობის მიმართ შესაძლებელია არსებობდეს ატმოსფეროს სტრატოფიკაციის შემდეგი ხუთი სახე: 1. $\gamma > \gamma_a > \gamma'_a$ - მშრალი და ნოტიოარამდგრადი ანუ აბსოლუტურად არამდგრადი; 2. $\gamma_a = \gamma > \gamma'_a$ - მშრალადგანურჩეველი და ნოტიოარამდგრადი; 3. $\gamma_a > \gamma > \gamma'_a$ - მშრალმდგრადი და ნოტიოარამდგრადი, ანუ პირობითად მდგრადი. 4. $\gamma < \gamma'_a < \gamma_a$ - მშრალ და ნოტიომდგრადი, ანუ აბსოლუტურად მდგრადი სტრატოფიკაცია (ხვედელიძე, 2002; მატვევი, 1987):

ყოველ დონეზე გარემოს სიმკვრივისაგან განსხვავებული სიმკვრივის მქონე ნაწილაკზე მოქმედებს მცურავობის ძალა. მუშაობა, რომელსაც ეს ძალა ასრულებს, ერთეულოვანი მასის მქონე ნაწილაკის dz ელემენტალურ მანძილზე ვერტიკალური გადაადგილების დროს ტოლია:

$$dE_i = g \frac{T_i - T_l}{T_l} dz \quad (3.3.1)$$

ვისარგებლოთ სტატიკის ძირითადი განტოლებით და (3.3.1) ფორმულა გადავწეროთ შემდეგი სახით:

$$dE_i = -R(T_i - T_l) \frac{dp}{p},$$

$$E_i = -R \int_{LFC}^{EL} (T_i - T_l) \frac{dp}{p} \quad (3.3.2)$$

თავისუფალი კონვექციის დონიდან (LFC) ზედა საზღვრამდე (EL) ჰაერის ერთეულოვანი მასის ადიაბატურად ასვლის დროს ძალის მიერ შესრულებული E_i მუშაობა ატარებს ამ ფენის არამდგრადობის ენერჯის სახელწოდებას. LFC (Level of Free convection)- თავისუფალი კონვექციის დონე არის დონე, რომლის ზემოთაც გარემოს ტემპერატურა უფრო სწრაფად ეცემა, ვიდრე ნაწილაკის ტემპერატურა. EL (Equilibrium Level)-არის დონე, რომელზედაც გარემოს ტემპერატურა უტოლდება ნაწილაკის ტემპერატურას.

არამდგრადობის ენერჯის ნიშნის მიხედვით შესაძლოა არსებობდეს სამი სხვადასხვა შემთხვევა:

1. ყველა დონეზე მდგომარეობის მრუდი სტრატეფიკაციის მრუდის მარჯვნივაა. მაშინ ყველა დონეზე $T_i > T_l$ და (3.3.2) ფორმულის თანახმად $E_i > 0$, ე.ი არამდგრადობის ენერგია დადებითია. ამ დროს ატმოსფეროს ქვედა ფენებში სტრატეფიკაცია, როგორც წესი არამდგრადია ($\gamma > \gamma_a$), არამდგრადობის დიდი დადებითი ენერგია ხელს უწყობს ატმოსფეროში მძლავრი კონვექციური მოძრაობის განვითარებას.
2. მდგომარეობის მრუდი სტრატეფიკაციის მრუდის მარცხნივაა ყველა დონეზე. მაშინ ნებისმიერ დონეზე $T_i < T_l$ და არამდგრადობის ენერგია უარყოფითია, ე.ი. $E_i < 0$, ამ შემთხვევაში ნაწილაკის ზემოთ მოძრაობა გაძნელებულია ან მთლიანად გამორიცხული, ატმოსფეროში კონვექციური მოძრაობები არ დაიკვირვება.
3. მდგომარეობის მრუდი მდებარეობს სტრატეფიკაციის მრუდის მარჯვნივ ერთ ფენაში და მარცხნივ- მეორეში. ამ შემთხვევაში არამდგრადობის ენერგია დადებითია პირველსა და უარყოფითი მეორე ფენებში. არამდგრადობის ენერგიის საერთო მარაგი მოიძებნება, როგორც ცალკეული ფენების არამდგრადობის ენერგიათა ალგებრული ჯამი.

თუ ჰაერის ნაწილაკის მასა არის $\rho_{parcel} V$, მაშინ მისი აჩქარება გამოისახება ფორმულით (Blanchard, 1998; ATSC 3032):

$$a = \frac{F}{m} = -\frac{g\Delta\rho V}{\rho_{parcel} V} = -\frac{g\Delta\rho}{\rho_{parcel}},$$

სადაც $\Delta\rho$ არის აირის ნაწილაკისა და გარემომცველი გარემოს სიმკვრივეთა სხვაობა, შესაბამისად. ეს უკანასკნელი ტოლობა გადაიწეროს შემდეგი სახით:

$$\frac{\Delta\rho}{\rho_{parcel}} = \frac{\rho_{parcel} - \rho_{env}}{\rho_{parcel}} = -\left(\frac{T_{v,parcel} - T_{v,env}}{T_{v,env}}\right) \quad (3.3.3)$$

სადაც T_v არის ჰაერის ვირტუალური ტემპერატურა.

როცა ჰაერის ნაწილაკი აიწევს თავისუფალი კონვექციის დონემდე (*LFC-მდე*), (3.3.3)–ის თანახმად ერთეულოვანი მასის აირის ნაწილაკის მიერ შესრულებული მუშაობა გამოითვლება შემდეგი (3.3.4) ფორმულით:

$$\frac{W}{m} = \int_{LFC}^{z_{max}} \frac{F}{m} dz = \int_{LFC}^{z_{max}} a dz = - \int_{LFC}^{z_{max}} g \frac{\Delta \rho}{\rho} dz = \int_{LFC}^{z_{max}} g \frac{T_{parcel} - T_{env}}{T_{env}} dz \equiv CAPE, \quad (3.3.4)$$

ეს ენერგია მოცემული (3.3.4)–ით ცნობილია, როგორც ატმოსფეროს არამდგრადობის ენერგია (*CAPE*). z_{max} ატმოსფეროს ფენა, რომლის ზემოთაც გარემოს ტემპერატურა მეტია ნაწილაკის ტემპერატურაზე. ძლიერი კონვექციის დროს იგი ახლოს არის ტროპოპაუზის სიმაღლესთან.

(3.3.4) ტოლობა შეიძლება ჩაიწეროს უფრო გამარტივებული სახით. თუ ჰაერის ნაწილაკს დასაწყისში აქვს ისეთი სიჩქარე, რომ იგი ადის თავისუფალი კონვექციის დონემდე *LFC*, ხოლო z_{max} სიმაღლეზე მისი სიჩქარე არის $w(z_{max})$, მაშინ შეიძლება დავწეროთ შემდეგი ტოლობა:

$$\frac{1}{2} m w^2(z_{LFC}) + W = \frac{1}{2} m w^2(z_{max})$$

თუ ვერტიკალური სიჩქარე *LFC*-დონეზე არის მცირე და იგი შეგვიძლია უგულებელვყოთ მაშინ:

$$W = \frac{1}{2} m w^2(z_{max}), \text{ ანუ } \frac{W}{m} = \frac{1}{2} w^2(z_{max}) = CAPE$$

შესაბამისად,

$$w(z_{max}) = \sqrt{2 CAPE}, \quad (3.3.5)$$

ფორმულა (3.3.5) შესძლებელია გამოყენებულ იქნას არამდგრადობის ენერგიისა და მაქსიმალურ სიმაღლეზე ქარის აღმავალი სიჩქარის ურთიერთდამოკიდებულების ანგარიშისთვის.

ამრიგად, *CAPE* შესაძლებელია გამოიყენებულ იქნას პროგნოზირებისათვის, დღის მეორე ნახევარში რა სიძლიერის კონვექცია არის მოსალოდნელი და დილის რადიოზონდის მონაცემების მიხედვით შეიძლება შეფასდეს *CAPE*–ს მნიშვნელობები (ცხრ.3.3.1.).

ცხრ.3.3.1. არამდგრადობის ენერჯის CAPE-ს და ჰაერის ვერტიკალური სიჩქარის (აღმავალი ნაკადის) რიცხვითი მნიშვნელობების შესაბამისად ატმოსფეროს მდგომარეობის კლასიფიკაცია.

CAPE value (J)	Updraft velocity (m/sec)	Convective potential
0	0	Stable
0-1000	0-43	Marginally Unstable
1000-2500	43-70	Moderately Unstable
2500-3600	70-84	Very Unstable
3600 +	>84	Extremely Unstable

ცხრილი 3.3.1–ის ანალიზი გვიჩვენებს, რომ აღმავალი დინებების 43-70მ/წმ ის შემთხვევაშიც კი ატმოსფეროს მდგომარეობა უკვე არამდგრადია, თუმცა პრაქტიკაში CAPE-ს უფრო მცირე მნიშვნელობებისთვისაც კი ხშირად ატმოსფეროს მდგომარეობა უკვე არამდგრადია რაც კარგად ჩანს აეროლოგიური დიაგრამებზე.

აეროლოგიური დიაგრამაზე თუ მდგომარეობის მრუდი სტრატეფიკაციის მრუდის მარცხნივაა, მაშინ არამდგრადობის ენერჯია უარყოფითია, ამ შემთხვევაში ნაწილაკის ზემოთ მოძრაობა გაძნელებულია და კონვექტიური მოძრაობებიც თითქმის არ დაიკვირვება. ხოლო იმ შემთხვევაში თუ მდგომარეობის მრუდის ნაწილი სტრატეფიკაციის მრუდის მარცხნივ დაიკვირვება, ხოლო ნაწილი მარჯვნივ, მაშინ არამდგრადობის ენერჯია იქნება მათი ალგებრული ჯამი.


3.4 Ready სისტემის აეროლოგიური დიაგრამებით ატმოსფეროს თერმოდინამიკური მდგომარეობის შეწავლა.

Ready სისტემის აეროლოგიური დიაგრამებით შევაფასეთ რამოდენიმე დღის ატმოსფეროს თერმოდინამიკური მდგომარეობა (ძირითადად არამდგრადობის

ენერჯის CAPE საფუძველზე), არჩეულ დღეებში აღმოსავლეთ საქართველოს უმეტეს რაიონებში დაფიქსირებული იყო ძლიერი ნალექი (ძლიერი წვიმა და სეტყვა).

ნახ.3.4.1. –ზე წარმოდგენილია 2015 წლის 13 ივნისის (თბილისის დროით 10:00 სთ) აეროლოგიური დიაგრამები თბილისის ზოოპარკის ტერიტორიისათვის (გეოგრაფიული კოორდინატებით $41^{\circ}.71' N$, $44^{\circ}.77' E$) დროის სხვადასხვა მომენტისთვის (13 ივნისის a-06 UTC, b-12 UTC, c-18 UTC, d-14 ივნისის 00 UTC). ატმოსფეროს თერმული მდგომარეობის შესაფასებლად თითოეულ სურათზე, ლურჯი უწყვეტი წირით გამოსახულია ჩვენს მიერ აგებული მდგომარეობის მრუდები. როგორც ნახ.3.4.1(a) - დიაგრამიდან ჩანს 06 UTC დროის მომენტისათვის LFC- დონიდან EL- დონემდე არამდგრადობის ენერჯია (CAPE) მცირეა (Микашавидзе & Нозадзе.,1969). არამდგრადობის ენერჯის რიცხვითი მნიშვნელობა (ARL-ის READY სისტემის არქივიდან აღებული 1.0° ჰორიზონტალური რეზოლუციით) $CAPE=55.6$ ჯ/კგ მცირეა, რაც შეესაბამება სუსტი არამდგრადობის მდგომარეობას (ცხრ.3.3.1). როგორც ამ სურათიდან ჩანს, ატმოსფეროს ზედა ფენებში 100 მზ ზედაპირის სიმაღლემდე, ნაწილაკის მდგომარეობის მრუდი თითქმის მიჰყვება სტრატოფიკაციის მრუდს, რაც გვიჩვენებს რომ ატმოსფეროს მდგომარეობა ნაწილობრივ განურჩეველია, ხოლო ქვედა ფენებში გვაქვს სტაბილური მდგომარეობა, რაზეც მიუთითებს კონვექციური ჩახშობის ენერჯიაც $CINH=-9.4$ ჯ/კგ. ნახ.3.4.1(b)-ზე გამოსახულია აეროლოგიური დიაგრამა 13 ივნისის 12:00 UTC დროისათვის (თბილისის დროით 16:00 სთ) იგივე გეოგრაფიული კოორდინატებისათვის. როგორც ამ სურათიდან ჩანს კონდესაციის დონის ზემოთ გარკვეულ სიმაღლემდე მდგომარეობის მრუდმა ოდნავ გადაინაცვლა სტრატოფიკაციის მრუდის მარჯვენა მხარეს, რაც გამოიხატა არამდგრადობის ენერჯის გაზრდაში $CAPE=109.6$ ჯ/კგ და ჩახშობის ენერჯის შემცირებაში $CINH=-7.9$ ჯ/კგ. ადგილობრივი დროით 10 საათისათვის (18 UTC) არამდგრადობის ენერჯის მნიშვნელობა მნიშვნელოვნად შემცირდა, ამ დროისათვის $CAPE=48$ ჯ/კგ (ნახ.3.4.1 (c)). თუ ამ მონაცემებს შევადარებთ 14 ივნისის დილის 4 საათის მონაცემებს (00 UTC) (ნახ.3.4.1(b)), ვნახავთ, რომ მდგომარეობის მრუდი ყველა დონეზე


სტრატეგიკაციის მრუდის მარცხნივ მდებარეობს, რაც ნიშნავს, რომ ამ დროისთვის ატმოსფეროს მდგომარეობა აბსოლუტურად სტაბილურია, ხოლო ამ დროისათვის ენერგიების რიცხვითი მნიშვნელობები $CAPE=0$, $CINH=0$, რაც კარგად ემთხვევა ნახ.3.4.1დ-ზე მიღებულ მონაცემებს. ამგვარად, როგორც ცხრ.3.4.1-დან ჩანს 09-15 UTC დროის შუალედისთვის პროგნოზული ატმოსფეროს არამდგრადობის ენერგიის მნიშვნელობა (CAPE) აღმოჩნდა მაქსიმალური ხოლო კონვექციური ჩახშობის ენერგია (CINH) მინიმალური. რადარის მონაცემების მიხედვით კი ღრუბლის მაქსიმალური სიძლიერე დაფიქსირდა უფრო გვიან 18 UTC დროისათვის, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ 13 ივნისს განვითარებული ატმოსფერული პროცესი არ უკავშირდებოდა ფრონტის გავლას, ეს პროცესი იყო სუფთა ლოკალური ხასიათის, არამდგრადი სტრატეგიკაციის პირობებში მოხდა თბილი ჰაერის მასების ვერტიკალური აღმასვლა (კონვექცია), რის შედეგადაც განვითარდა ძლიერი კონვექციური ღრუბელი, რომელიც არსებობდა მხოლოდ რამდენიმე წუთის განმავლობაში. პროცესის სიძლიერიდან გამომდინარე შეიძლება ვთქვათ, რომ ამ დღის ატმოსფერული პროცესის სიძლიერის შეფასება ვერ მოხდა ვერც ARL- READY სისტემის მიერ მიღებული აეროლოგიური მონაცემების საფუძველზე, თუმცა, როგორც ცხრ.3.4.1-დან ჩანს ARL- READY სისტემამ მაინც გვიჩვენა სუსტი არამდგრადობა 09-15 UTC დროის შუალედისთვის.



ნახ.3.4.1 2015 წლის 13 ივნისის აეროლოგიური დიაგრამები.

ნახ.3.4.2.–ზე წარმოდგენილია თბილისისათვის (გეოგრაფიული კოორდინატებით $41^{\circ}70'N$, $44^{\circ}80'E$) 2016 წლის 2 აგვისტოს აეროლოგიური დიაგრამები დროის სხვადასხვა მომენტისათვის (a- 00 UTC, b - 06 UTC, c- 12 UTC, d- 18 UTC). როგორც ნახ.3.4.2–დან ჩანს, 00 UTC დროიდან მოყოლებული არამდგრადობის ენერჯია (CAPE) მთელი დღის განმავლობაში სწრაფად იზრდება და მაქსიმალურ მნიშვნელობას აღწევს 12 UTC დროისათვის (CAPE=378 ჯ/კგ). ხოლო CINH ენერჯია


დღის განმავლობაში ნელა იცვლება და მინიმალურია 18 UTC (თბილისის დროით 22:00 საათისათვის) (ნახ.3.4.2). ნახ.3.4.2(b)-ზე წარმოდგენილია იგივე გეოგრაფიული კოორდინატებისათვის 2 აგვისტოს 06 UTC აეროლოგიური დიაგრამა. როგორც სურათიდან ჩანს ატმოსფეროს ქვედა ფენებში მდგომარეობა სტაბილურია, ხოლო ზედა ფენებში გვაქვს განურჩეველი მდგომარეობა. ამ დროისათვის $CAPE=93$ ჯ/კგ, $CINH=-45$ ჯ/კგ. ნახ.3.4.2(c)-ზე წარმოდგენილია იგივე გეოგრაფიული კოორდინატებისათვის 2 აგვისტოს აეროლოგიური დიაგრამა 12:00 UTC დროით (თბილისის დროით 16:00 სთ). როგორც სურათიდან ჩანს კონდესაციის დონის ზემოთ გარკვეულ სიმაღლემდე მდგომარეობის მრუდმა გადაინაცვლა სტრატოფიკაციის მრუდის მარჯვნივ, რაც ნიშნავს რომ გაიზარდა არამდგრადობის ენერგია $CAPE=378$ ჯ/კგ, ხოლო შემცირდა $CINH=-43$ ჯ/კგ ენერგია. ნახ.3.4.2(c)-ზე ადგილობრივი დროით 10 საათისათვის (18 UTC) არამდგრადობის ენერგიის მნიშვნელობა შემცირდა, ამ დროისათვის $CAPE=75$ ჯ/კგ, ამავე დროს ატმოსფეროს ქვედა ფენებში შემცირდა უარყოფითი ენერგიაც $CINH = -26$ ჯ/კგ. აეროლოგიური მონაცემების ანალიზმა და არამდგრადობის ენერგიის რიცხვითი მნიშვნელობების განხილვამ (ცხრ.3.4.1) გვიჩვენა, რომ ამ შემთხვევაში 09-15 UTC დროის შუალედისთვის ატმოსფეროს არამდგრადობის ენერგია (CAPE) მაქსიმალურია რაც ემთხვევა 2016 წლის 2 აგვისტოს მეტეოროლოგიური რადარის რეალურ მონაცემებს.




ნახ. 3.4.2. 2016 წლის 2 აგვისტოს აეროლოგიური დიაგრამები.

აეროლოგიური დიაგრამების მიხედვით 2016 წლის 21 ივნისს ატმოსფეროს არამდგრადობა დაფიქსირდა მხოლოდ 12 UTC დროისათვის. ხოლო დანარჩენ შემთხვევაში ატმოსფეროს მდგომარეობა აბსოლუტურად სტაბილურია. ნახ.3.4.3-ზე წარმოდგენილია 2016 წლის 21 ივნისის აეროლოგიური დიაგრამები თბილისისათვის (გეოგრაფიული კოორდინატებით 41^o.70’N, 44^o.80’E) სხვადასხვა დროით (a- 00 UTC,

b - 06 UTC, c- 12 UTC, d- 18 UTC). როგორც ნახ.3.4.3 (a,b,d)- დან ჩანს 00 UTC, 06 UTC, 18 UTC დროისათვის ატმოსფეროს მდგომარეობა აბსულუტურად სტაბილურია და ენერგიების რიცხვითი მნიშვნელობები ამ დროისათვის CAPE=CINH=0 ჯ/კგ. ხოლო 12 UTC დროისათვის არამდგრადობის ენერგია CAPE=349 ჯ/კგ, ხოლო კონვექციური ჩახშობის ენერგია CINH=-32 ჯ/კგ. ზემოთ განხილული შემთხვევების ანალოგიურად 2016 წლის 21 ივნისს ატმოსფეროში თერმოდინამიკური არამდგრადობა დაფიქსირდა 09-15 UTC დროის შუალედისათვის, რაც ზუსტად ემთხვევა რადარის მონაცემების მიხედვით ატმოსფერული პროცესის მიმდინარეობის დროს.



ნახ.3.4.3. 2016 წლის 21 ივნისის აეროლოგიური დიაგრამები.




ნახ.3.4.4. 2016 წლის 23 ივნისის აეროლოგიური დიაგრამები.

დაახლოებით ანალოგიური ატმოსფეროს თერმოდინამიკური სიტუაცია განმეორდა 2016 წლის 23 ივნისს. მართლაც, აეროლოგიური დიაგრამების მიხედვით 00 UTC დროისათვის ატმოსფეროს მდგომარეობა აბსოლუტურად სტაბილურია (ნახ.3.4.4(a)), არამდგრადობის ენერჯისა და კონვექციური ჩახშობის ენერჯების რიცხვითი მნიშვნელობები $CAPE = CINH = 0$ ჯ/კგ, რაც აგრეთვე შეესაბამება მდგრადი

ატმოსფეროს მდგომარეობას. 06:00 UTC დროისათვის ატმოსფეროში გაიზარდა არამდგრადობის ენერგია (ნახ.3.4.4(b)), მისი რიცხვითი მნიშვნელობა $CAPE=60$ ჯ/კგ, ხოლო $CINH=-28$ ჯ/კგ. ატმოსფეროს არამდგრადობა დღის განმავლობაში იზრდება და მაქსიმალურ მნიშვნელობას აღწევს 12 UTC დროისათვის ნახ.3.4.4(c), ცხრ.3.4.1-დან ჩანს, რომ 09-15 UTC დროისთვის არამდგრადობის ენერგიის რიცხვითი მნიშვნელობა მაქსიმალურია. 18 UTC დროისათვის ატმოსფეროს მდგომარეობა აბსოლუტურად სტაბილურია $CAPE=0$ (ცხრ.3.4.1).

2015 წლის 20-21 აგვისტოს სინოპტიკური რუკების ანალიზმა გვიჩვენა, რომ დასავლეთიდან შემოსული ატმოსფერული ფრონტი კიდევ უფრო გაძლიერდა საქართველოს ტერიტორიის ჩრდილო-აღმოსავლეთ საზღვარზე. რაც აიხსნება როგორც კავკასიონის არაერთგვაროვანი რელიეფის გავლენით, ასევე შიდა მასიური პროცესების განვითარებით, რის შედეგადაც აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონში (ახმეტა, ყვარელი, ლაგოდეხი) განვითარდა კონვექციური ღრუბლები. ამ რეგიონებში ძლიერი სეტყვისა და თავსხმა წვიმის შედეგად დაზარალდა სასოფლო სამეურნეო პროდუქტები. Noaa –ს ARL Ready სისტემის საშუალებით ჩვენ შევამოწმეთ 2015 წლის 20-21 აგვისტოს ატმოსფეროს თერმოდინამიკური მდგომარეობა აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონისთვის (ახმეტა, ყვარელი, ლაგოდეხი), კერძოდ იმ გეოგრაფიული კოორდინატებისათვის სადაც რადარის მონაცემების მიხედვით ადგილი ჰქონდა ფრონტალურ პროცესებს (ნახ.3.4.5(a-d)). ნახ.3.4.5b–ზე მოცემულია ატმოსფეროს თერმოდინამიკური მდგომარეობა 2015 წლის 20 აგვისტოს 12 UTC (თბილისის დროით 16:00 საათისათვის). როგორც სურათიდან ჩანს არამდგრადობის ენერგია 06 UTC დროსთან შედარებით გაზრდილია, ხოლო კონვექციური ჩახშობის ენერგია შემცირებულია. ნახ.3.4.5(c,d) გვიჩვენებს ატმოსფეროს თერმოდინამიკურ მდგომარეობას შესაბამისად 18:00 და 24:00 UTC დროისათვის. როგორც სურათებიდან ჩანს არამდგრადობის ენერგია $CAPE$ შემცირებულია ორივე შემთხვევაში, ხოლო კონვექციური ჩახშობის ენერგია $CINH$ კი გაზრდილია. ზოგადად შეიძლება ვთქვათ, რომ მთელი დღის განმავლობაში

(2015 წლის 20 აგვისტოს) გვაქვს სუსტი არამდგრადობა, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ არამდგრადობის ენერგია CAPE ყველაზე დიდია 12 UTC დროისათვის.




ნახ.3.4.5. 2015 წლის 20 აგვისტოს აეროლოგიური დიაგრამები.

ნახ.3.4.6.-ზე წარმოდგენილია აეროლოგიური დიაგრამა, რომელიც ასახავს 2015 წლის 5 ივნისის 10:00 საათისათვის (თბილისის დროით) $42^{\circ}.11' N$, $44^{\circ}.97' E$ გეოგრაფიული კოორდინატებისათვის (თიანეთი) ატმოსფეროს თერმოდინამიკურ მდგომარეობას. როგორც ნახ.3.4.6-დან ჩანს, ატმოსფეროს მდგომარეობა ამ


დროისათვის სუსტად არამდგრადია. ნახ.3.4.7-ზე წარმოდგენილია 16:00 საათისთვის ატმოსფეროს თერმოდინამიკური მდგომარეობა 2015 წლის 5 ივნისის 16:00 საათისათვის (თბილისის დროით) $42^{\circ}.08' N$, $44^{\circ}.69' E$ გეოგრაფიული კოორდინატებისათვის (დუშეთი). როგორც ჩანს 16:00 (თბილისის დროით) საათისათვის აეროლოგიური მონაცემების მიხედვით გვაქვს ძლიერი არამდგრადობა განსაკუთრებით დუშეთის რაიონში, ამავე დროს რადარის მონაცემების მიხედვით 16:56 სთ-სათვის დუშეთისა და თიანეთის რაიონის ტერიტორიაზე ყველაზე ძლიერია ღრუბელთა სისტემა.

19:03 საათისათვის კი ღრუბელთა სისტემა სუსტდება, თუმცა დუშეთისა და თიანეთის რაიონებში რადარის მონაცემების მიხედვით ამ დროს ნალექი მოდის თქეში წვიმის სახით. ხოლო აეროლოგიური საპროგნოზო მონაცემების მიხედვით ამ დროისათვის დუშეთის რაიონის ტერიტორიაზე გვაქვს სუსტი არამდგრადობა რაც ემთხვევა რადარის სურათებიდან მიღებულ ანალიზის შედეგებს. ხოლო 22:00 საათისათვის რადარის მონაცემების მიხედვით კონვექციური ღრუბლები არ დაიკვირვება, ხოლო აეროლოგიური მონაცემების მიხედვით ამ დროისათვის ატმოსფეროს თერმოდინამიკური მდგომარეობა აბსოლუტურად მდგრადია (ნახ.3.4.9).


ზოგადად შეიძლება ვთქვათ, რომ 2015 წლის 5 ივნისს დაიკვირვებოდა ძლიერი ფრონტალური პროცესები (განსხვავებით 22 ივლისისაგან). სწორედ ამიტომ აეროლოგიურმა დიაგრამამ ზუსტად დააფიქსირა მთელი დღის განმავლობაში ატმოსფეროს თერმოდინამიკური მდგომარეობა.




ნახ.3.4.6. აეროლოგიური დიაგრამა (2015 წლის 5 ივნისის 06 UTC).



ნახ.3.4.7. აეროლოგიური დიაგრამა (2015 წლის 5 ივნისის 12 UTC).



ნახ.3.4.8. აეროლოგიური დიაგრამა (2015 წლის 5 ივნისის 15 UTC).



ნახ.3.4.9. აეროლოგიური დიაგრამა (2015 წლის 5 ივნისის 18 UTC).

მიღებული შედეგების შესამოწმებლად ზემოთ განხილული შემთხვევების გარდა მეტეოროლოგიური რადარის მონაცემებით დამატებით შევარჩიეთ 2015-2019

წლებში აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონში განვითარებული საშიში მეტეოროლოგიური პროცესების რამოდენიმე შემთხვევა. შერჩეული პროცესების დროს აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონში ძლიერი წვიმისა და სეტყვისაგან მნიშვნელოვნად დაზარალდა საქართველოს მოსახლეობა, დაიტბორა სახლები, განადგურდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები. აქ განხილულია მხოლოდ ლოკალური ხასიათის ატმოსფერული პროცესების არამდგრადობის ენერჯის რიცხვითი მნიშვნელობები დროის 00, 03, 06, 09, 12, 15, 18, 21 UTC მომენტებისთვის (ცხრ.3.4.1-3.4.4). CAPE-ს ცვლილების მეტი თვალსაჩინოებისათვის 5 წლიანი მნიშვნელობები დაყვავით 3 ნაწილად 1. არამდგრადობის ენერჯის მაქსიმალური მნიშვნელობა (დღის განმავლობაში) ნაკლებია 300 ჯ/კგ. 2. არამდგრადობის ენერჯის მაქსიმალური მნიშვნელობა იცვლება 300-დან 800 ჯ/კგ-მდე. 3. არამდგრადობის ენერჯის მაქსიმალური მნიშვნელობა მეტია 800 ჯ/კგ. ცხრ. 3.4.1-3.4.4 გვიჩვენებს, რომ CAPE რიცხვითი მნიშვნელობები, ყველა განხილული დღეებისათვის განსხვავებულია, თუმცა ყველა განხილული შემთხვევისათვის არამდგრადობის ენერჯის მაქსიმალური მნიშვნელობები დაფიქსირდა 09UTC – 15UTC დროის შუალედში, განხილული დღეებისათვის სწორედ დროის ამ შუალედში მოიმატა მიწის ზედაპირზე ტემპერატურამ (ადგილობრივი დროით 13 სთ-დან 19 სთ-მდე) და ხელსაყრელი თერმოდინამიკური არამდგრადობის პირობებში ადგილი ჰქონდა ჰაერის მასების ვერტიკალურ აღმასვლას და ლოკალურ ტერიტორიაზე კონვექციური დრუბლების ჩამოყალიბებას. რადარის მონაცემების მიხედვით კი ლოკალური კონვექციური პროცესების ჩამოყალიბება ხდება ძირითადად იგივე დროის შუალედისთვის, თუმცა უნდა აღინიშნოს რომ განხილული 24 დღიდან იყო 3 გამონაკლისი (13.06.15, 02.08.16, 16.05.18) შემთხვევა, როდესაც რადარის მონაცემების მიხედვით კონვექციური პროცესები დაფიქსირდა შედარებით გვიან 18-20 UTC დროისათვის, თუმცა არამდგრადობის ენერჯის მნიშვნელობა მაღალი იყო 09UTC – 15UTC დროის შუალედში. ზოგადად კონვექციის ჩამოყალიბების ხარისხი მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ადგილობრივ ოროგრაფიულ თავისებურებებზე და დიდ როლს თამაშობს კონვექციური

დრუბლების ფორმირებაში, ამიტომ გასაგებია რომ საქართველოს არაერთგვაროვანი რელიეფის არსებობაც ნაწილობრივ განსაზღვრავს ლოკალური კონვექციის ჩამოყალიბებას და მის შემდგომ განვითარების ხარისხს, ამიტომ განხილულ შემთხვევებში გამონაკლისის არსებობა სწორედ ოროგრაფიული არაერთგვაროვნებით აიხსნება. დღის განმავლობაში (3 საათიანი ინტერვალით) არამდგრადობის ენერჯის ცვლილების ტენდენცია წარმოდგენილია ნახ.3.4.10-3.4.12.

ნახ.3.4.10-ზე წარმოდგენილია არამდგრადობის ენერჯის რიცხვითი მნიშვნელობების განაწილება დროის მიხედვით მხოლოდ იმ დღეებისათვის, როდესაც $CAPE(max) < 300$, შერჩეული დღეებიდან CAPE-ს ასეთი მნიშვნელობა დაფიქსირდა მხოლოდ 9 დღეს. სურათის მარჯვენა მხარეს ლეგენდაზე სხვადასხვა ფერით სწორედ ეს დღეებია წარმოდგენილი და შესაბამისი ფერები სურათზე გვიჩვენებს მოცემული დღის CAPE-ს რიცხვით მნიშვნელობას. დღის განმავლობაში არამდგრადობის ენერჯის 3 საათიანი ცვლილების უკეთ წარმოსაჩენად ნახ.3.4.13-ზე უწყვეტი წირით წარმოდგენილია CAPE-ს საშუალო ცვლილების ტრენდი დროების მიხედვით. როგორც ნახ.3.4.10-დან ჩანს მიუხედავად CAPE-ს მცირე მნიშვნელობებისა ყველა განხილული დღეებისათვის მისი რიცხვითი მნიშვნელობები მაქსიმალურია 09-15 UTC დროის შუალედში, რაც ემთხვევა განხილული დღეებისათვის რეალური ატმოსფერული პროცესების მიმდინარეობის დროს.

ანალოგიურად ნახ.3.4.11-ზე წარმოდგენილია CAPE-ს მაქსიმალური რიცხვითი მნიშვნელობის განაწილება მხოლოდ იმ დღეებისათვის, როდესაც $300 \text{ ჯ/კგ} < CAPE < 800 \text{ ჯ/კგ}$. განხილული დღეებიდან არამდგრადობის ენერჯის ცვლილების აღნიშნული შუალედი დაფიქსირდა მხოლოდ 10 დღისათვის, შესაბამისად ნახ.3.4.11-ზე ლეგენდაზე გამოსახული ფერებით აღნიშნულია შესაბამისი დღის CAPE-ს რიცხვითი მნიშვნელობები 3 საათიანი ინტერვალით, ხოლო უწყვეტი წირით წარმოდგენილია CAPE-ს საშუალო ცვლილების ტრენდი დროების მიხედვით. როგორც ნახ.3.4.11-დან ჩანს CAPE-ს რიცხვითი მნიშვნელობები მაქსიმალურია 09-15

UTC დროის შუალედში, რაც აგრეთვე ემთხვევა განხილული დღეებისათვის რეალური ატმოსფერული პროცესების მიმდინარეობის დროს.


ნახ.3.4.12-ზე წარმოდგენილია CAPE-ს ცვლილება მხოლოდ იმ დღეებისათვის, როცა CAPE>800 ჯ/კგ. როგორც ნახ.3.4.12-დან ჩანს, CAPE-ს რიცხვითი მნიშვნელობები ამ შემთვევაშიც მაქსიმალურია 09-15 UTC დროის შუალედში.

ცხრ.3.4.1 აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ რეგიონში 2015-2016 წლებში განვითარებული საშიში მეტეოროლოგიური პროცესების დროს არამდგრადობის ენერჯის (CAPE), კონვექტიური ჩახშობის ენერჯის (CINH) მნიშვნელობები.

Time/ Date	13.06.15 Lat 41°.71' N, Lon 44°.77' E		21.06.16 Lat 41°.70' N, Lon 44°.80' E		23.06.16 Lat 41°.70' N, Lon 44°.80' E		02.08.16 Lat 41°.70' N, Lon 44°.80' E	
Time (UTC)	CAPE (J/kg)	CINH (J/kg)	CAPE (J/kg)	CINH (J/kg)	CAPE (J/kg)	CINH (J/kg)	CAPE (J/kg)	CINH (J/kg)
00:00	42.9	-9.4	0	0	0	0	50	-47
03:00	28.5	-5.3	0	0	0	0	23	-56
06:00	55.6	0	0	0	60	-28	93	-45
09:00	135	-17	69	-17	290	-30	307	-52
12:00	110	-7.9	349	-32	330	-55	378	-43
15:00	65	-21	96	-24	155	-126	207	-85
18:00	48	-48	0	0	0	-7	75	-26
21:00	2	-8.5	0	0	0	0	0	0

ცხრ.3.4.2 აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ რეგიონში 2015-2018 წლებში განვითარებული საშიში მეტეოროლოგიური პროცესების დროს არამდგრადობის ენერჯის (CAPE (max)<300 ჯ/კგ) რიცხვითი მნიშვნელობები.


Time/ Date	22.07.15 Lon42°03' N, Lat 45°22' E	01.06.17 Lon41°73' N,La t 45°33' E	12.06.17 Lon42°03' N, Lat 45°22' E	09.06.18 Lon42°03' N, Lat 45°22' E	04.06.18 Lon42°03' N, Lat 45°22' E	10.06.18 Lon42°03' N , Lat 45°22' E.	05.06.18 Lon41°73' N,Lat 45°33' E.	23.07.18 Lon41°73' N,Lat 45°33' E.
Time UTC	CAPE (J/kg)	CAPE (J/kg)	CAPE (J/kg)	CAPE (J/kg)	CAPE (J/kg)	CAPE (J/kg)	CAPE (J/kg)	CAPE (J/kg)
00:00	7	34	0	0	0	0	0	17
03:00	0	12	0	0	0	0	0	17
06:00	41	35	5	3,4	6	18	34,7	57
09:00	76	167	133	25	98	71	180	98
12:00	181	178	102	155	127	134	217	170
15:00	232	83	27	228	130	104	293	197
18:00	2	5	1	106	6	0	52	81
21:00	0	0	0	0,7	0	0	0	23



ნახ.3.4.10. განხილული დღეებისათვის არამდგრადობის ენერჯის რიცხვითი მნიშვნელობების ცვლილება დროის მიხედვით (CAPE (max)<300 ჯ/კგ).

ცხრ.3.4.3 აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ რეგიონში 2015-2018 წლებში განვითარებული საშიში მეტეოროლოგიური პროცესების დროს არამდგრადობის ენერჯის (300<CAPE(max)<800ჯ/კგ) რიცხვითი მნიშვნელობები.


Time / Date	05.06.15 Lon42 ⁰ .08'N, Lat 44 ⁰ .69'E.	28.05.17 7 Lon41 ⁰ .73'N,Lat 45 ⁰ .33'E.	20.05.17 Lon41 ⁰ .73'N,Lat 45 ⁰ .33'E.	20.06.17 Lon41 ⁰ .73'N,Lat 45 ⁰ .33'E.	28.06.17 Lon42 ⁰ .03'N,Lat 45 ⁰ .22'E.	17.06.18 Lon42 ⁰ .03'N,Lat 45 ⁰ .22'E.	18.08.18 Lon42 ⁰ .03'N,Lat 45 ⁰ .22'E.
Time UTC	CAPE (J/kg)	CAPE (J/kg)	CAPE (J/kg)	CAPE (J/kg)	CAPE (J/kg)	CAPE (J/kg)	CAPE (J/kg)
00:00	0	0	0	0	0	0	0
03:00	0	0	0	0	0	0	0
06:00	65	11	6	4	370	52	197
09:00	466	241	140	284	575	428	471
12:00	326	427	487	575	340	457	573
15:00	335	251	320	451	236	451	389
18:00	29	52	81	48	193	55	0
21:00	5	6	0	0	5	40	0



ნახ.3.4.11. არამდგრადობის ენერჯის რიცხვითი მნიშვნელობების ცვლილება დროის მიხედვით ($300 < CAPE(max) < 800$ ჯ/კგ).

ცხრ.3.4.2 აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ რეგიონში 2015-2019 წლებში განვითარებული საშიში მეტეოროლოგიური პროცესების დროს არამდგრადობის ენერჯის ($CAPE(max) > 800$ ჯ/კგ) რიცხვითი მნიშვნელობები.

Time/ Date	20.08.15 Lon42 ⁰ .04' N Lat45 ⁰ .20'E.	16.05.18 Lon41 ⁰ .97'N , Lat45 ⁰ .83'E.	12.06.19 Lon41 ⁰ .73'N , Lat45 ⁰ .33'E	18.05.19 Lon42 ⁰ .03'N , Lat 45 ⁰ .22'E.	19.05.19 Lon42 ⁰ .04'N , Lat 45 ⁰ .20'E.	20.05.19 Lon41 ⁰ .97'N , Lat 45 ⁰ .83'E.
Time (UTC)	CAPE(J/kg)	CAPE (J/kg)	CAPE (J/kg)	CAPE (J/kg)	CAPE (J/kg)	CAPE (J/kg)
00:00	61	0	0	187	2	44
03:00	0	0	0	38	0	22
06:00	388	204	477	170	405	412
09:00	850	532	1012	506	814	807
12:00	909	900	1378	836	1211	748
15:00	663	564	1436	747	1197	478
18:00	516	84	694	722	375	119
21:00	172	0	229	178	170	8



ნახ.3.4.12. არამდგრადობის ენერჯის რიცხვითი მნიშვნელობების ცვლილება დროის მიხედვით (CAPE (max)>800 ჯ/კგ).

3.5 საქართველოში მიმდინარე ზოგიერთი ექსტრემალური კონვექციური პროცესების განხილვა მეტეოროლოგიური რადარის მონაცემების საფუძველზე.

მეტეოროლოგიური რადიოლოკატორები ფართოდ გამოიყენება სეტყვის და სეტყვასაშიში ღრუბლების ამოცნობისა და მათი დამუშავებისათვის. სეტყვასაშიში ღრუბლების მახასიათებელი პარამეტრებია: რადიოექოს ამრეკლადობა, ღრუბლის სიმაღლე, მაქსიმალური ამრეკლადობის სიმაღლე, სეტყვის ალბათობა, სეტყვის მარცვლის ზომა, ღრუბლის წყლიანობა ანუ ნალექების შემცველობა ღრუბელში და ა.შ.


ლოკატორების ყველა პროდუქტი მუშაობს თავისი ალგორითმით. მეტეორადიოლოკატორის სამუშაო მანძილია 100 კმ რადიუსი რადარის ადგილმდებარეობიდან (Selex ES GmbH).

მეტეორადიოლოკაციური რადარის - METEOR 735 CDP 10 - Doppler Weather Radar პროდუქტები მეტად მრავალფეროვანია. უმთავრესი და სამუშაო პროდუქტია MAX dBZ – Maximum Display, რომელიც საშუალებას გვაძლევს გავაკეთოთ ღრუბლების სიღრმისეული სტრუქტურის ანალიზი, სურათის ცენტრალურ ნაწილი გვიჩვენებს ღრუბლების ჰორიზონტალურ განლაგებას, ხოლო პერიფერიებში (ცენტრალური ნაწილის ზემოთ და მარჯვნივ) ნაჩვენებია ღრუბლის როგორც ჰორიზონტალური, ასევე ვერტიკალური ჭრილი ზღვის დონიდან 20 კმ სიმაღლემდე. ღრუბლის


ჰორიზონტალური ჭრილიდან, რომელიც აღებულია ყველა ელევაციის სურათის ჯამიდან, შეგვიძლია გავაკეთოთ მისი ვერტიკალური ჭრა ელევაციით დედამიწის ზედაპირიდან 2 კმ სიმაღლეზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დედამიწის ზედაპირიდან 2 კმ სიმაღლემდე ყველგან არის ე.წ. „მკვდარი ზონა“. აღნიშნული პროდუქტის ეფექტური სამუშაო ზონის რადიუსი რადარის ადგილმდებარეობიდან 120 კმ მანძილზეა შესაძლებელი. პროდუქტი გვიჩვენებს რადიოქოს ამრეკლადობას 5,0-75,0 dBZ დიაპაზონში. მეტეოროლოგიური რადარი Meteor 735CDP 10-Doppler Wether Radar რომლის მონიტორინგს ახორციელებს სამეცნიერო სამხედრო ტექნიკური ცენტრი „დელტა“, განთავსებულია კახეთში, სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფ. ჭოტორთან, რომლის მეშვეობით ხორციელდება კახეთის მთელ რეგიონში ღრუბლებზე დაკვირვება, სეტყვის საშიშროების შემთხვევაში საცეცხლე წერტილებიდან ავტომატურ რეჟიმში ხორციელდება ღრუბლებზე აქტიური ზემოქმედება და ჩვენს მიერ გამოყენებულია მონაცემები რადარიდან 120კმ რადიუსის ტერიტორიაზე (Selex ES GmbH).

რადარის მონაცემების მიხედვით 13 ივნისს 20:30 საათზე (13 ივნისის ტრაგედია) წყნეთის მიდამოებში განვითარდა შიდამასიური პროცესი, რომელმაც თანდათან იწყო გაძლიერება. 20:49 საათისათვის პარალელურად თბილისის მიდამოებში ვითარდება შიდამასიური პროცესი, ორივე ღრუბელთა სისტემა ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად იწყებს გაძლიერებას და 22:00 საათისათვის მათი შეერთებით წარმოიქმნება გაძლიერებული ღრუბელი რომლის მაქსიმალური ამრეკლადობაა 65 დბ, ღრუბლის ზედა საზღვარი 15 კმ-მდეა, ნალექენის ინტენსივობა 100 მმ-ზე მეტია საათში. ერთი საათის განმავლობაში ღრუბლის სიძლიერე მატულობს, (განსაკუთრებით წყნეთის მიდამოებში), 23:51 საათისათვის ღრუბელი თანდაანობით სუსტდება. ამ დროის განმავლობაში აღმოსავლეთ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე აღინიშნება ჩრდილო დასავლეთის ქარი, თბილისში მისი მნიშვნელობა 2 კმ სიმაღლეზე არის 15 მ/წმ, ხოლო ახმეტის მოდამოებში 25-30 მ/წმ–ს აღწევს (ნახ.3.5.1).

ნახ.3.5.1-ზე მოცემულია რადარის მონაცემები აღმოსავლეთ საქართველოში 13-14 ივნისს ღრუბლის ინტენსივობის შესახებ, ლეგენდა გვიჩვენებს ღრუბლის ამრეკლადობას, ხოლო სურათის მარჯვენა და ზედა ნაწილი გვიჩვენებს ღრუბლის სიმაღლეს კმ-ებში. როგორც ნახ.3.5.1-დან ჩანს 13 ივნისს 20:39 საათზე მთელს აღმოსავლეთ საქართველოში ცა მოწმენდილია, ზუსტად 10 წუთში 20:49 საათზე თბილისის მიდამოებში შიდა მასიური პროცესის შედეგად წარმოიქმნება 45 მაქსიმალური ამრეკლადობის ელქეჟური ხასიათის ღრუბელი, რომლის ზედა ზღვარი 15 კმ-მდეა (ნახ.3.5.1b) ნახევარ საათში ღრუბლის ინტენსიობა მატულობს იზრდება კონვექტიური უჯრედის სიძლიერე (ნახ.3.5.1 c,d,e,f) და შესაბამისად მატულობს ნალექების ინტენსიობაც (ნახ.3.5.2). 22:24 საათისათვის ღრუბლების სიძლიერე და შესაბამისად ნალექების ინტენსიობაც მაქსიმალურია. 02:00 საათისთვის თბილისის მიდამოებში ღრუბლის ინტენსიობა შემცირებულია (ნახ.3.5.1 f). ანალოგიურად ნახ.3.5.2 გვაძლევს ნალექების განაწილებას აღმოსავლეთ საქართველოში. ნახ.3.5.2 სურათებზე ლეგენდა გვიჩვენებს ნალექების ინტენსიობას მმ/სთ-ში. როგორც სურათებიდან ჩანს ნალექების ინტენსიობა 13 ივნისის 21:00 საათიდან იზრდება და მაქსიმალური მნიშვნელობას (100 მმ/სთ) ღებულობს 22:00 საათისათვის, თუმცა მისი ინტენსიობა არ მცირდება 14 ივნისის 00:00 საათამდე.




ნახ.3.5.1. აღმოსავლეთ საქართველოში ღრუბლების ინტენსივობა (სიმაღლე, ამრეკლადობა) რადარის მონაცემების მიხედვით.




ნახ.3.5.2. აღმოსავლეთ საქართველოში დედამიწის ზედაპირზე მოსული ნალექების ინტენსივობა (მმ/სთ) რადარის მონაცემების მიხედვით.

მეტეოროლოგიური რადარიდან მიღებული სურათების ანალიზის მიხედვით, 19:20 საათისათვის დასავლეთის მხრიდან ახმეტის რაიონის ტერიტორიაზე შემოვიდა ღრუბელთა სისტემა. 19:49 საათისათვის ღრუბლის ზედა ზღვარი იყო 15

კმ, მაქსიმალური ამრეკლადობა 60 დბ, ხოლო ნალექების ინტენსივობა შეადგენდა 25 მმ/სთ. 20:18 საათისათვის ღრუბლის სიმაღლე და ინტენსივობამ მოიმატა და ღრუბელი გადაადგილდა ყვარლისა და შემდეგ ლაგოდეხის მიმართულებით. აღნიშნული ღრუბელთა სისტემის ინტენსივობა 23:30 საათიდან შემცირდა (ნახ.3.5.3). როგორც ნახ.3.5.3(a) გვიჩვენებს 2015 წლის 20 აგვისტოს 19:20 საათისათვის გროვა-საწვიმარი ღრუბლები განაწილებულია მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონში, რაც განპირობებულია დასავლეთიდან შემოსული ფრონტის გადაადგილებით. ნახ.3.5.3(b)-3.5.3(f)-ზე წარმოდგენილია 21:20 საათისათვის ახმეტისა და ნაწილობრივ თელავის ტერიტორიაზე სეტყვის ღრუბლები, რომელთა მაქსიმალური ამრეკლადობა შეადგენს 65 დბ. დასავლეთიდან შემოსულ ატმოსფერულ ფრონტს აღმოსავლეთ საქართველოში დაემატა შიდა მასიური პროცესები, რამაც გამოიწვია მძლავრი კონვექციური ღრუბლების წარმოშობა. ნახ.3.5.3(a)-3.5.3(f) –ზე მოცემულია რადარის მონაცემები კახეთის რეგიონში 20 აგვისტოს ღრუბლის ინტენსივობის შესახებ. როგორც ნახ.3.5.3(a)-3.5.3(e) გვიჩვენებს 19:20 საათისათვის ახმეტის თავზე მთებში გვაქვს სუსტი ინტენსივობის ღრუბელთა სისტემა, რომელიც ნახევარი საათის განმავლობაში მთებზე ასვლის დროს ძლიერდება, მისი სიმაღლე და ამრეკლადობა იზრდება და წარმოიქმნება ძლიერი კონვექციური ღრუბელთა სისტემა, გამლიერებული ღრუბელი მთებიდან იწყებს ჩამოსვლას თელავის, ყვარლისა და ლაგოდეხის ტერიტორიაზე, რასაც თან ახლავს ძლიერი სეტყვა და თქეში წვიმა. ღრუბელი საბოლოოდ სუსტდება ლაგოდეხის ტერიტორიაზე (ნახ.3.5.3(e)). ნალექების ინტენსივობაც შესაბამისადაა განაწილებული. ნახ.3.5.4-ზე მოცემულია ნალექების ინტენსივობა მმ/სთ კახეთის რეგიონში. როგორც სურათიდან ჩანს ყველაზე ძლიერი ნალექი 21:23 საათისათვის გვაქვს ახმეტის რაიონში (100 მმ/სთ).



ნახ.3.5.3. აღმოსავლეთ საქართველოში ღრუბლების ინტენსივობა (სიმაღლე, ამრეკლადობა) რადარის მონაცემების მიხედვით (20 აგვისტო).



ნახ.3.5.4. აღმოსავლეთ საქართველოში დედამიწის ზედაპირზე მოსული ნალექების ინტენსივობა (მმ/სთ) რადარის მონაცემების მიხედვით (20 აგვისტო, 21:23 სთ).

2015 წლის 5 ივნისს ძლიერი წვიმა მოვიდა აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონში (გორი, თბილისი, დუშეთი, თიანეთი, ახმეტა), რის შედეგადაც დაიტბორა ქუჩები, დაზიანდა სასოფლო სამეურნეო პროდუქტები.


მეტეოროლოგიური რადარიდან მიღებული სურათების ანალიზი გვიჩვენებს, რომ 13:12 სთ-ზე საქართველოს ტერიტორიაზე სამხრეთ-დასავლეთის მხრიდან ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით შემოვიდა ღრუბელთა სისტემა ატმოსფერული ფრონტის სახით (ნახ.3.5.5). ნახ.3.5.5(a)-ზე მოცემულია მეტეოროლოგიური რადარიდან მიღებული მონაცემები ღრუბლების ინტენსივობის

შესახებ რადარიდან 200 კმ რადიუსის მანძილზე. როგორც ნახ.3.5.5 (a)-დან ჩანს საქართველოს ტერიტორიაზე სამხრეთ-დასავლეთის მხრიდან ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით შემოვიდა ღრუბელთა სისტემა, რომელიც ამ დროისთვის ლოკალიზებული იყო დუშეთისა და ნაწილობრივ თიანეთის რაიონის ტერიტორიაზე, თუმცა ღრუბელმა ვერ მოასწრო გაძლიერება და გადაადგილდა ჩრდილოეთის მიმართულებით მთებისკენ. 16:56 საათიდან ღრუბელთა სისტემა განსაკუთრებით გაძლიერდა დუშეთისა და ახალგორის რაიონის ტერიტორიაზე. 17:30 სთ ღრუბლის მაქსიმალური ამრეკლადობა შეადგენდა 65 დბ, ღრუბლის ზედა ზღვარი იყო 16 კმ. პარალელურად 17:35 საათისათვის თბილისის ტერიტორიაზე განვითარდა მეორე ღრუბელთა სისტემა 65 მაქსიმალური ამრეკლადობითა და 16 კმ სიმაღლით. 18:00 საათისათვის ორივე ღრუბელთა სისტემა გადაადგილდა ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით და მთლიანად მოიცვა ერთი მხრივ თიანეთისა და დუშეთის, მეორეს მხრივ ახმეტისა და თელავის რაიონის ტერიტორიები (ნახ.3.5.5 b). ნახ.3.5.5 (b)-ზე წარმოდგენილია მეტეოროლოგიური რადარის მონაცემები აღმოსავლეთ საქართველოში ღრუბლების ინტენსივობის შესახებ 18:00 საათისათვის (თბილისის დროით). როგორც ნახ.3.5.5(b)-დან ჩანს, ამ დროისათვის ღრუბლები მთლიანად მოიცავს ერთი მხრივ თიანეთისა და დუშეთის, მეორეს მხრივ ახმეტის, თელავისა და საგარეჯოს რაიონებს.

აღსანიშნავია რომ მეტეოროლოგიური რადარის მონაცემების მიხედვით 17:35 საათიდან ატმოსფეროს ზედა ფენებში განსაკუთრებით გაძლიერდა ჩრდილო-დასავლეთის მიმართულების ქარი, რომლის სიდიდე ამ დროისათვის შეადგენდა 10-15 მ/წმ (ნახ.3.5.5 (d)). ხოლო 3 კმ სიმაღლეზე დაიკვირვებოდა სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულების ქარი, მისი მნიშვნელობა ამ დროისთვის იყო 7,5-10 მ/წმ, გარკვეულ სიმაღლეზე ქარი არ დაფიქსირებულა. სიმაღლეების მიხედვით ასეთი განსხვავება ქარის სიდიდესა და მიმართულებებს შორის იწვევს გრიგალური მოძრაობების გაძლიერებას.

მეტეოროლოგიური რადარიდან მიღებული სურათების მიხედვით 18:30 საათისათვის ღრუბელთა სისტემა გადაადგილდა ჩრდილო-აღმოსავლეთის

მიმართულებით მთებისკენ და იმის გამო რომ ნალექი უკვე მოვიდა წვიმის სახით , იგი თანდათანობით შესუსტდა. 19:00 საათიდან ღრუბელთა სისტემამ დაიწყო დაშლა (ნახ.3.5.5 c).



ნახ.3.5.5. ღრუბლების ინტენსივობა აღმოსავლეთ საქართველოსათვის მეტეოროლოგიური რადარის მონაცემების მიხედვით (2015 წლის 5 ივნისი).

3.6. WRF მოდელისა და Ready სისტემის მიღებული შედეგების შედარება რადარის რეალურ მონაცემებთან.

თუ შევადარებთ აეროლოგიურ მონაცემებს მეტეოროლოგიური რადარის სურათებიდან მიღებულ მონაცემებს ვნახავთ, რომ 20 აგვისტოს 16:00 სთ-სთვის აგებულმა აეროლოგიურმა დიაგრამამ ატმოსფეროში გვიჩვენა ძლიერი არამდგრადობა (ნახ.4.4.5b), მეტეოროლოგიური რადარიდან მიღებული რეალური მონაცემების მიხედვით კი მთელი დღის განმავლობაში საქართველოს ტერიტორიაზე ადგილი ჰქონდა დასავლეთის მხრიდან შემოსული ჰაერის მასების გადაადგილებას აღმოსავლეთის მიმართულებით, თუმცა ძლიერი კონვექციური ნაკადები დაფიქსირდა მხოლოდ 19:29 საათისათვის (ნახ. 3.5.3). აღნიშნული ფრონტალური სისტემა რადარის მონაცემების მიხედვით სუსტდება 23:00 საათისათვის, რაც ემთხვევა მოდელის შედეგად მიღებულ აეროლოგიურ მონაცემებს, რომლის თანახმადაც არამდგრადობის ენერგია ატმოსფეროში

შემცირებულია. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ შიდამასიური (ადგილობრივი) კონვექციური პროცესის დროს, როდესაც ძირითადად დედამიწის ზედაპირის გათბობის გამო ადგილი აქვს ჰაერის მასების ვერტიკალურ მოძრაობას, მოდელის მიერ მიღებული აეროლოგიური მონაცემების მიხედვით ატმოსფეროს არამდგრადობა დაფიქსირებულია მხოლოდ იმ ტერიტორიაზე სადაც რეალურად ადგილი ჰქონდა ძლიერ მეტეოროლოგიურ მოვლენებს (თავსხმა წვიმა, სეტყვა), სხვა რეგიონებში კი აეროლოგიური მონაცემების მიხედვით ატმოსფეროს მდგომარეობა სტაბილურია. ხოლო ფრონტალური პროცესების დროს, რომლის დროსაც ძირითადად ადგილი აქვს ჰაერის მასების ჰორიზონტალურ გადაადგილებას აეროლოგიური მონაცემების მიხედვით ატმოსფეროს თერმოდინამიკური არამდგრადობა აღინიშნება არამარტო კონკრეტულ რეგიონში არამედ თითქმის საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. კერძოდ, 2015 წლის 13 ივნისს განვითარებული პროცესების დროს მიღებული ატმოსფეროს თერმოდინამიკური მდგომარეობის მრუდები გვიჩვენებს ატმოსფეროს არამდგრადობას მხოლოდ თბილისისათვის, ხოლო კახეთის რეგიონში ატმოსფეროს მდგომარეობა სტაბილურია. ხოლო 2015 წლის 20 აგვისტოსა და 5 ივნისის აეროლოგიური მონაცემების მიხედვით ატმოსფერო არამდგრადია არამარტო ახმეტის რაიონის ტერიტორიაზე, სადაც უშალოდ დაფიქსირებულია ძლიერი მეტეოროლოგიური მოვლენები, არამედ აღმოსავლეთ საქართველოს თითქმის მთელ ტერიტორიაზე.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ 13 ივნისს განვითარებული ატმოსფერული პროცესი არ უკავშირდებოდა ფრონტის გავლას, ეს პროცესი იყო სუფთა ლოკალური ხასიათის, არამდგრადი სტრატეფიკაციის პირობებში მოხდა თბილი ჰაერის მასების ვერტიკალური აღმასვლა (კონვექცია), რის შედეგადაც განვითარდა ძლიერი კონვექციური ღრუბელი, რომელიც არსებობდა მხოლოდ რამდენიმე წუთის განმავლობაში. პროცესის სიძლიერიდან გამომდინარე შეიძლება ვთქვათ, რომ ამ დღის ატმოსფერული პროცესის სიძლიერის შეფასება ვერ მოხდა ვერც ARL-ის READY სისტემის მიერ მიღებული აეროლოგიური მონაცემების საფუძველზე, თუმცა, როგორც

ცხრ.3.4.1-დან ჩანს ARL-ის READY სისტემამ მაინც გვიჩვენა სუსტი არამდგრადობა 09-15 UTC დროის შუალედისთვის.

თუ შევადარებთ 2015 წლის 5 ივნისის აეროლოგიური დიაგრამის მონაცემებს რადარის რეალურ მონაცემებთან, ვნახავთ, რომ 10:00 საათისათვის რადარის მონაცემების მიხედვით ატმოსფეროში შეიმჩნევა სუსტი ტალღური მოძრაობები დასავლეთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით, თუმცა ძლიერი კონვექციური მოძრაობები ამ დროისათვის დაფიქსირებულა (ნახ. 3.5.5). ამავე დროს აეროლოგიური მონაცემების მიხედვით გვაქვს სუსტი არამდგრადობა, თუმცა უარყოფითი არამდგრადობის ენერჯია (CAPE) გაცილებით მეტია დადებით ენერჯიაზე (CIN), ამიტომ შეიძლება ვთქვათ რომ 540 მბ-დან 300 მბ დონემდე ატმოსფეროში უკვე არის სუსტი არამდგრადობა (ნახ.3.4.6). ნახ.3.4.6-ზე წარმოდგენილია აეროლოგიური დიაგრამა, რომელიც ასახავს 2015 წლის 5 ივნისის 10:00 საათისათვის (თბილისის დროით) 42.11, 44.97 გეოგრაფიული კოორდინატებისათვის (თიანეთი) ატმოსფეროს თერმოდინამიკურ მდგომარეობას. როგორც ნახ.3.4.6-დან ჩანს, ატმოსფეროს მდგომარეობა ამ დროისათვის სუსტად არამდგრადია. ნახ.3.4.7-ზე წარმოდგენილია ატმოსფეროს თერმოდინამიკური მდგომარეობა 2015 წლის 5 ივნისის 16:00 საათისათვის (თბილისის დროით) 42.08, 44.69 გეოგრაფიული კოორდინატებისათვის (დუშეთი). როგორც ნახ.3.4.7-დან ჩანს 16:00 (თბილისის დროით) საათისათვის აეროლოგიური მონაცემების მიხედვით გვაქვს ძლიერი არამდგრადობა განსაკუთრებით დუშეთის რაიონში, ამავე დროს რადარის მონაცემების მიხედვით 16:56 სთ-სათვის დუშეთისა და თიანეთის რაიონის ტერიტორიაზე ყველაზე ძლიერია ღრუბელთა სისტემა.

19:03 საათისათვის კი ღრუბელთა სისტემა სუსტდება, თუმცა დუშეთისა და თიანეთის რაიონებში რადარი მონაცემების მიხედვით ამ დროს ნალექი მოდის თქვენი წვიმის სახით. ხოლო აეროლოგიური საპროგნოზო მონაცემების მიხედვით ამ დროისათვის დუშეთის რაიონის ტერიტორიაზე გვაქვს სუსტი არამდგრადობა რაც ემთხვევა რადარის სურათებიდან მიღებული ანალიზი შედეგებს. ხოლო 22:00 საათისათვის რადარის მონაცემების მიხედვით კონვექციური ღრუბლები არ

დაიკვირვება, ხოლო აეროლოგიური დიაგრამების მონაცემების მიხედვით ამ დროისათვის ატმოსფეროს თერმოდინამიკური მდგომარეობა აბსოლუტურად მდგრადია.

ზოგადად შეიძლება ვთქვათ, რომ 2015 წლის 5 ივნისს დაიკვირვებოდა ძლიერი ფრონტალური პროცესები (განსხვავებით 22 ივლისისაგან). სწორედ ამიტომ აეროლოგიურმა დიაგრამამ ზუსტად დააფიქსირა მთელი დღის განმავლობაში ატმოსფეროს თერმოდინამიკური მდგომარეობა.

რეალურად მეტეოროლოგიური რადარის მონაცემების მიხედვით ყველა განხილულ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა ძლიერი კონვექციური ღრუბლების ჩამოყალიბებას, ამიტომ ამ პროცესების სიძლიერის კლასიფიცირება მხოლოდ ატმოსფეროს თერმოდინამიკური მახასიათებლების მიხედვით (CAPE, CINH, Updraft velocity) ვერ მოხდება, რადგან ეს მონაცემები არ არის სრულად საკმარისი კონვექციის ხარისხის შესაფასებლად. თუმცა სხვა საპროგნოზო მოდელებთან ერთად, რომლებიც ძირითადად გვაძლევს ინფორმაციას უფრო ფართომასშტაბიანი ატმოსფერული პროცესების (ფრონტების) შესახებ სასურველია მოხდეს არამდგრადობის ენერჯის შეფასება სწორედ ამ დროის შუალედისთვის, რადგან ცივი ან ოკლუზიის ფრონტის შემოსვლას ძლიერი არამდგრადობის პირობებში შესაძლებელია მოჰყვეს ლოკალურად ძლიერი კონვექციური ღრუბლების განვითარება. საქართველოს არაერთგვაროვანი რელიეფის გამო ადგილობრივი პროცესების ჩამოყალიბება და მისი შემდგომი განვითარების ხარისხი დამოკიდებულია ლოკალური რელიეფის თავისებურებებზე, რის გამოც საქართველოში ადგილობრივი ატმოსფერული პროცესების პროგნოზი საკმაოდ რთულია, ამას ემატება ისიც, რომ საქართველოში არ არის გამართული არცერთი რეგიონალური მოდელი, რომელშიდაც გათვალისწინებული იქნება რთული ოროგრაფია. ამიტომ გლობალურ საპროგნოზო მოდელებთან ერთად, რომლებიც ძირითადად ფრონტალური მეტეოროლოგიური პროცესების წინასწარმეტყველებას გვაძლევს, აუცილებელია შეფასდეს კონკრეტულ რეგიონში ატმოსფეროს თერმოდინამიკური მდგომარეობის ხარისხიც, ეს განსაკუთრებით აუცილებელია

სეტყვის პროგნოზის დროს, რაც დაეხმარება შესაბამის სამსახურებს სამუშაოების დაგეგმვაში და სეტყვის თავიდან აცილებაში.

ამავე დროს აღსანიშნავია, რომ განხილული ლოკალური მეტეოროლოგიური პროცესებისათვის არამდგრადობის ენერჯის (CAPE) ყველაზე კარგი ინდიკატორი არის 09-15 UTC დროის შუალედისათვის (როდესაც არამდგრადობის ენერჯის მნიშვნელობა ყველაზე დიდია). რადგან ამ დროს დედამიწის ზედაპირის ტემპერატურა მაქსიმალურია და ყველაზე ხელსაყრელი დროა ლოკალური კონვექციური პროცესების განვითარებისათვის. შესაბამისად როდესაც ვაკეთებთ ლოკალური კონვექციური პროცესების პროგნოზს ARL-ის READY სისტემის აეროლოგიური დიაგრამების საფუძველზე ატმოსფეროს თერმოდინამიკური მდგომარეობა უნდა შევისწავლოთ 12-15 UTC დროის შუალედისთვის საპროგნოზო აეროლოგიური დიაგრამების ანალიზის მიხედვით და შესაბამისად ამ დროს მიღებული საპროგნოზო არამდგრადობის ენერჯის რიცხვითი მნიშვნელობის საფუძველზე. ამგვარად, როდესაც შეუძლებელია ამინდის საპროგნოზო რიცხვითი მოდელით (WRF), ლოკალური ხასიათის საშიში მეტეოროლოგიური კონვექციური პროცესის წინასწარმეტყველება, მაშინ ARL-ის READY სისტემის საშუალებით არამდგრადობის ენერჯის რიცხვითი მნიშვნელობის (CAPE) ანალიზით შესაძლებელია ლოკალურ ტერიტორიაზე ლოკალური ხასიათის მოსალოდნელი საშიში მეტეოროლოგიური კონვექციური პროცესის ხარისხის წინასწარმეტყველება მოცემული დღის 12-15 UTC დროის შუალედში საპროგნოზო აეროლოგიური მონაცემების საფუძველზე.

3.7. მესამე თავის დასკვნა:

საქართველოს ტერიტორიაზე მიმდინარე ძლიერი, საშიში მეტეოროლოგიური პროცესები ხშირად ლოკალური ხასიათისაა და ხშირ შემთხვევაში გამოწვეულია (პროვოცირებულია) საქართველოს რთული რელიეფის არაერთგვაროვანი განაწილებით. ასეთი მეტეოროლოგიური პროცესების წინასწარმეტყველება

რეგიონალური საპროგნოზო რიცხვითი მოდელებითაც კი ძალიან რთულია და ხშირ შემთხვევებში არ არის ზუსტი. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ამინდის საპროგნოზო რეგიონალურმა (WRF) მოდელმაც კი, რომელიც კარგად ითვალისწინებდა კავკასიის რელიეფის არაერთგვაროვნებას ერთმანეთში ჩადგმული ბადეებით (16 კმ და 2.2 კმ) ვერ დააფიქსირა 2015 წლის 13 ივნისის, 2016 წლის 21, 23 ივნისს და 2 აგვისტოს განვითარებული ძლიერი კონვექციური მოვლენები ჩვენს მიერ WRF მოდელში მოსინჯული ვერც ერთი ატმოსფეროს პარამეტრიზაციის სქემების საშუალებით. ასევე ნაშრომში ჩვენს მიერ შესწავლილია აღმოსავლეთ საქართველოში განვითარებული ძლიერი მეტეოროლოგიური პროცესების რამოდენიმე შემთხვევა. განხილული შემთხვევებისათვის აეროლოგიურმა დიაგრამებმა კვლავ ზუსტად აჩვენეს ატმოსფეროს არამდგრადობა ლოკალურ ტერიტორიაზე, მიუხედავად იმისა, რომ არამდგრადობის ხარისხი ოთხივე შემთხვევაში იყო განსხვავებული, ეს განსხვავება ზუსტად შეესაბამებოდა კონკრეტული დღის რეალურ მეტეოროლოგიურ მდგომარეობას (მეტეოროლოგიური რადარის მონაცემების მიხედვით). მიღებული შედეგების საფუძველზე შეიძლება ვთქვათ, რომ NOAA-ას ARL -ის READY სისტემის საშუალებით კონკრეტული რეგიონისთვის მიღებული საპროგნოზო აეროლოგიური მონაცემების ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია მოვახდინოთ ატმოსფეროს თერმოდინამიკური მდგომარეობის პროგნოზი და შევაფასოთ ლოკალურ ტერიტორიაზე კონვექციური პროცესების შესაძლო განვითარების ხარისხი, რომლის გამოყენება საქართველოს ამინდის საპროგნოზო ოპერატიულ სამსახურში არსებულ საპროგნოზო მეთოდებთან ერთად გააუმჯობესებს ამინდის წინასწარმეტყველების ხარისხს.

თავი 4. საქართველოს ტერიტორიაზე მტვრის ნაწილაკების მიგრაციის შესწავლა.

4.1. საქართველოს ტერიტორიაზე მტვრის ნაწილაკების მიგრაციის შესწავლა WRF-Chem მოდელით.

უდაბნოდან საქართველოს ტერიტორიაზე მტვრის შემცველი ჰაერის მასების გადაადგილების შესწავლისათვის წარმოდგენილ ნაშრომში პირველად გამოიყენება რიცხვითი მოდელური გათვლები, დისტანციური ზონდირების პროდუქტებთან ერთად. კერძოდ, ამინდის კვლევისა და პროგნოზირების WRF-Chem მოდელის მიერ ჩვენს მიერ ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ 2017 წლის ნოემბრიდან 2018 წლის დეკემბრამდე საქართველოს ტერიტორიაზე დაფიქსირდა მტვრის გადატანის 9 შემთხვევა. ამ თავში ჩვენს მიერ განხილულია და შესწავლილია მხოლოდ ორი ტიპური შემთხვევა, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ 2018 წლის 22-24 მარტს და 25-26 ივლისს. ვალიდაციის მიზნით WRF-Chem მოდელის თვლის შედეგების შედარებამ Cloud Aerosol Lidar, Infrared Pathfinder Satellite Observation (CALIPSO), the Moderate Resolution Imaging Spectroradiometer (MODIS) და PM10 გაზომილ მონაცემებთან აჩვენა, რომ ჩვენს მიერ კავკასიის ტერიტორიისთვის ადაპტირებული WRF-Chem მოდელი კარგად აღწერდა უდაბნოდან მტვრის შემცველი ჰაერის მასების ტრანსპორტირებას საქართველოს ტერიტორიაზე კავკასიის რთულ ოროგრაფიის პირობებში. გარდა ამისა, უდაბნოდან წამოსულმა მტვერი გავლენას ახდენდა საქართველოს კლიმატური პარამეტრებზე. მართლაც, WRF-Chem მოდელის თვლის შედეგებმა აჩვენა, რომ შესწავლილი პერიოდის განმავლობაში, მტვრის შემოტანას ადგილი ქონდა საქართველოს ტერიტორიაზე თანაბრად აფრიკის, შუა აღმოსავლეთისა და ცენტრალური (დასავლეთი) აზიის უდაბნოებიდან. უნდა აღინიშნოს, რომ ყარაყუმისა და ყიზილყუმის უდაბნოებიდან მტვრის გადატანა დაფიქსირდა ორჯერ, რომლის კვალი ჯერ არ იყო დაფიქსირებული კავკასიის მყინვარებზეც კი (ელბრუსი და ყაზბეგი).

როგორც ცნობილია ეილერის არასტაციონარული, არაჰიდროსტატიკური, მეზომასშტაბური WRF-Chem მოდელი ფართოდ გამოიყენება რეგიონალური ამინდის,

ჰაერის ხარისხისა და მტვრის დისპერსიის პროგნოზირებისა და მოდელირებისთვის (Grell et al., 2005). ამიტომ უდაბნოებიდან საქართველოს ტერიტორიაზე ჰაერში მტვრის გადატანის შესასწავლად გამოყენებული იქნა WRF-Chem v.3.6.1 რიცხვითი მოდელი ორი ერთმანეთში ჩასმული დომენის (ბადის) გამოყენებით (ნახ.4.1.1(ბ)) კავკასიის რთული ოროგრაფიული თავისებურებების უკეთ წარმოჩენის მიზნით. გარე ბადის წერტილებში სასაზღვრო და საწყისი პირობებისთვის მონაცემები მოიპოვებოდა ECMWF ERA-ს ბაზური შუალედური მონაცემებიდან (0,75 გრადუსიანი რეზოლუციით, რომელიც ხელმისაწვდომია ყოველ 6 საათში ერთხელ). გარე ჰორიზონტალური ბადური ქსელი, რომელიც შედგება 128x128 უჯრისგან, რეზოლუციით 37,2 კმ, მოიცავს ყველა რეგიონს, რომლებიც მონაწილეობენ კავკასიის ატმოსფერული პროცესების ფორმირებაში (სამხრეთ და აღმოსავლეთ ევროპის უმეტესი ნაწილი, ურალ-ციმბირის რეგიონი, შუა აღმოსავლეთი და შუა აზია). მასში ჩასმული ბადე, 81x81 უჯრედის ზომით და 12,4 კმ რეზოლუციით (ცენტრით თბილისში), მოიცავს ჩრდილოეთ აფრიკის, შუა აღმოსავლეთის და დასავლეთ აზიის ტერიტორიებს (ნახ.4.1.1(ბ)). WRF მოდელის ვერტიკალური სტრუქტურა (ორივე რეგიონისთვის) 32 ვერტიკალური დონის გამოყენებით მოიცავს მთელ ტროპოსფეროს. ყველა რიცხვითი გათვლები (უხეშ ბადეზე დროითი ბიჯით 60 წმ. და ჩასმულ შიდა ბადეზე დროითი ბიჯით 10 წმ.) WRF მოდელით შესრულდა საქართველოს სამეცნიერო-საგანმანათლებლო კომპიუტერული ქსელების ასოციაცია GRENA-ს კლასტერის გამოყენებით. ზოგადად, WRF-Chem v.3.6.1 მოდელი მოიცავს მინერალური მტვრის ემისიის შემდეგ მოდულებს: DUST-GOCART, DUSTGOCART/AFWA და DUSTUOC. DUST-GOCART/AFWA და DUSTUOC. ამ მოდულების რიცხვითი სქემების ურთირთ შედარებამ აჩვენა, რომ GOCART/AFWA ემისიის სქემა იძლეოდა ზედმეტად პროგნოზირებულ მტვრის კონცენტრაციას, ხოლო DUSTUOC სქემა ოდნავ ამცირებდა მტვრის კონცენტრაციის მნიშვნელობებს (Rizza et al., 2016). ამიტომ, ჩვენს მიერ WRF-Chem მოდელში შეირჩა DRS-GOCART სქემა, რომელიც უზრუნველყოფდა შვიდი ტიპის აეროზოლების გამოყოფას, რაც სავსებით მისაღებია მეცნიერულ გათვლებში (Chin et al., 2000).



ნახ. 4.1.1. კავკასიის რეგიონის ფიზიკური რუკა- (a), WRF Chem მოდელის ბადის გადაფარვის ლოკაცია-(b).

WRF-Chem მოდელის დომენის (ბადის) გამოყენებით ყველა გაანგარიშებისას, შესრულებული WRF v.3.6.1 მოდელით (ქიმიისა და მტვრის მოდულებთან ერთად), გამოიყენებოდა იდენტური ფიზიკური პარამეტრიზაციის სქემები. როგორც ცხრ.4.1.1-ში ჩანს, მტვრის ექსპერიმენტებისთვის შეირჩა შემდეგი ფიზიკური სქემები: მიკროფიზიკური პროცესების ინტერპრეტაციისთვის გამოიყენება პუნდუე ლინის სქემა (Lin et al., 1983), პარამეტრიზაციის ინტენსივობისა და ყინულის დალექვის გათვალისწინებით (Chen & Sun, 2002). გრელი და დემენჯის 3D ანსამბლის სქემა გამოიყენება ხმელეთზე და ოკეანეზე კონვექციური ღრუბლებისათვის (Grell et al., 2005); მტვრის პირდაპირი რადიაციული ეფექტისთვის გამოიყენება სწრაფი რადიაციული გადაცემის მოდელი (RRTMG) როგორც მოკლე ტალღოვანი, ისე გრძელი ტალღოვანი გამოსხივებისთვის (Iacono et al., 2008). MYNN-ტურბულენტური კინეტიკური ენერჯის პარამეტრიზაცია გამოიყენება პლანეტარული სასაზღვრო ფენის აღსაწერად (Nakanishi & Niino, 2009); ჯანჯიკ-ეტა მსგავსების ზედაპირული ფენის სქემა (Janjic, 2002) და RUC- მიწის ზედაპირის მოდელი (Benjamin et al., 2004) არჩეულია ზედაპირული ფენის ფიზიკისა და მიწის ზედაპირის ურთიერთქმედების გამოსახატავად. მხოლოდ მტვრის შემცველ ექსპერიმენტებში - მტვრის მხოლოდ 4 სქემა აქტიურდება და განიხილება აეროზოლური პირდაპირი ზემოქმედება რადიაციულ და ატმოსფერულ დინამიკაზე.

ცხრ.4.1.1 WRF-Chem-ში გამოყენებული ფიზიკური პარამეტრების ჩამონათვალი.

ფიზიკ.პარამეტრები	პარამეტრის ნომერი	ცვლადის სახელი	მოდელი


Microphysics	2	mp_physics	Purdue Lin
PBL model	2	bl_pbl_physics	MYNN level 2.5
Cumulus convection	5	Grell 3D Ensemble Scheme	Tiedtke Grell 3D Ensemble Scheme
Land surface	3	sf_surface_physics	RUC model
Surface similarity	1	sf_sfclay_physics	MM5 similarity scheme
Shortwave radiation	4	ra_sw_physics	RRTMG
Long-wave radiation	4	ra_lw_physics	RRTMG
Dust only dust tracers	1	dust_opt/	DODT
Aerosol mixing rules	2	aer_op_opt	Maxwell–Garnett
Chem	401	chem_opt	

WRF-Chem v.3.6.1 მოდელის თვის შედეგად მიღებული რეზულტატების შესაფასებლად, მიღებული შედეგები შევადარეთ სატელიტიდან მიღებულ MODIS (<http://modis.gsfc.nasa.gov/>), CALIPSO (<http://eosweb.larc.nasa.gov/>) მონაცემებსა და აგრეთვე ადგილზე ჩატარებულ და გაზომვებით საქართველოს გარემოს ეროვნული სააგენტოსგან (NEA) მიღებულ მონაცემებს. ასევე გამოვიყენეთ ლაგრანჟის ცვლადებზე დაფუძნებული HYSPLIT (<http://ready.arl.noaa.gov/HYSPLIT.php>) მოდელი, რომელიც გამოიყენება ჰაერის მასების (დამაბინძურებლების) დისპერსიის, ტრექტორიებისა და ადგილობრივი ან გლობალური მასშტაბებში დამაბინძურებლების დეპოზირების გამოსათვლელად.

საქართველოს გარემოს ეროვნული სააგენტოს საქმიანობის ერთ-ერთი სფეროა მოსახლეობის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის უზრუნველსაყოფად მოსალოდნელი საშიში ბუნებრივი მოვლენების (ჰიდრომეტეოროლოგიური კატასტროფები, გვერდითი მოვლენები და გარემოს დაბინძურება) შესახებ ინფორმაციის პროგნოზირება და გავრცელება. ამ მიზნის მისაღწევად, საქართველოში, ჰაერის მონიტორინგის ცხრა ავტომატური სადგური მუშაობს,

რომელთაგან ოთხი მდებარეობს საქართველოს დედაქალაქ თბილისში (<http://nea.gov.ge/en/about/about-us/2>). ნაშრომში გამოყენებულია PM10-ის მონაცემები მიღებული ბათუმისა და ქუთაისის ავტომატური სადგურებიდან (დასავლეთ საქართველო) და თბილისის სხვადასხვა რაიონის 4 ავტომატური სადგურების მონაცემები (აღმოსავლეთ საქართველო).

WRF-Chem v.3.6.მოდელის გამოთვლების შედეგები წარმოდგენილია ნახ.4.1.2-ზე. ნახ.4.1.2 გვიჩვენებს, რომ შავ ზღვაზე დაფიქსირებულია ძლიერი ქარი, რასაც სამხრეთიდან შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ ზონაში გადააქვს მტვრის მასები, გარდა ამისა, დამატებით 2018 წლის 23 მარტის 18:00 საათზე აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე (აშკარად სამხრეთიდან შემოსული) შეინიშნება მტვრის ღრუბელი(Davitashvili, 2019). ამრიგად, საქართველოს ტერიტორიაზე მოხდა ჰაერის მასების ორმხრივი შემოჭრა, რაც საქართველოში განვითარებული ძირითადი სინოპტიკური პროცესების მხოლოდ 1.1%-ს შეადგენს. ნახ.4.1.2(b) გვიჩვენებს, რომ საკმაოდ ძლიერი ატმოსფერული პროცესების დროს მტვრის ღრუბლები შემოდის თურქეთიდან საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ სანაპიროზე და 23 მარტის 20:00 სთ-ზე აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მტვრის ღრუბელი ქრება (ნახ.4.1.2(ბ)), მომდევნო 2 საათის განმავლობაში მტვრის ღრუბელმა საქართველოს დასავლეთ სანაპიროს მიაღწია (ნახ.4.1.2(გ)) და ნახ.4.1.2(დ)-დან ჩანს, რომ მტვრის ღრუბელმა აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე გადმოინაცვლა. მომდევნო 2 საათის განმავლობაში მტვრის ღრუბლებმა გადაკვეთა დიდი კავკასიონის ქედი და გავრცელდა რუსეთის სამხრეთ ტერიტორიაზე (ნახ.4.1.2 (ე)). ნახ.4.1.2(ფ)-ზე. ცხადია, რომ შუადღის 12 საათზე მტვრის ღრუბლების ახალი ნაწილი ჩნდება შავი ზღვაზე (გადაჭიმულია თურქეთიდან აფხაზეთამდე), რომელიც მოძრაობს რუსეთის მიმართულებით (სოჭის მთები და მთავარი კავკასიის ქედი). შემდგომმა გამოანგარიშებებმა აჩვენა, რომ მტვრის ღრუბლები შავი ზღვის და საქართველოს ტერიტორიის წყლებიდან გადის 2018 წლის 24 მარტის 22:00 საათზე.




ნახ.4.1.2 WRF-Chem v.3.6.1 მოდელის რიცხვითი გაანგარიშების შედეგები, შესრულებული ჩასმულ დომენში, 12,4 კმ რეზოლუციის ბადით, მიღებული დროის სხვადასხვა მომენტებისთვის.

2018 წლის 26 ივლისს აზერბაიჯანის დედაქალაქ ბაქოში დაფიქსირდა უჩვეულოდ ძლიერი მტვრის ნისლის (ყვითელი ფერის, თამბაქოს კვამლის მსგავსი) შეჭრა, რამაც შეამცირა ხილვადობა, გაიზარდა ტენიანობა, ტემპერატურა და შეიქმნა ჯანმრთელობისთვის საშიში პირობები. ოფიციალურმა წარმომადგენლებმა (აზერბაიჯანის ეკოლოგიისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრმა) პრესასა და ტელევიზიაში განაცხადეს, რომ ჩრდილო-დასავლეთის ქარმა მტვერი მოიტანა

მეზობელი თურქმენეთიდან კასპიის ზღვის გადაღმა და მტვრის ქარიშხალმა მთლიანად დაიპყრო აზერბაიჯანის ნახევარკუნძული. 2018 წლის 27 ივლისს თბილისში და მის შემოგარენშიც უჩვეულო ნისლი დააფიქსირეს. თავდაპირველად, საქართველოს NEA დაიბნა და განაცხადა, რომ ეს ჩვეულებრივი ნისლია, მაგრამ მოგვიანებით განმარტა, რომ აზერბაიჯანიდან მტვრის ძლიერი ღრუბელი გავრცელდა საქართველოს ტერიტორიაზე.

WRF-Chem მოდელის გაანგარიშების შედეგები მსხვილ ქსელზე შესრულებული მტვრის მოდულთან ერთად (ნახ.4.1.3(დ)) აჩვენებს, რომ 800 მ სიმაღლის ყარაყუმის უდაბნოს თავზე ორი დიდი მტვრის ღრუბელია. 2018 წლის 26 ივლისს 06:00 საათზე სირიასა და ერაყში ორი პატარა მტვრის ღრუბელი შეინიშნება (ნახ.4.1.3(ა)). ნახ.4.1.3(ბ)-დან ჩანს, რომ ყარაყუმის მტვრის ღრუბელი მოძრაობს დასავლეთით კასპიის ზღვისკენ, ხოლო არაბეთის ნახევარკუნძულზე მტვრის უფრო დიდი ღრუბელი ინდოეთის ოკეანისკენ ინაცვლებს 26 ივლისს 08:00 საათზე. ნახ.4.1.3(გ) გვიჩვენებს, რომ ყარაყუმის მტვრის ღრუბელმა მიაღწია აზერბაიჯანის ტერიტორიას, შემდეგ კი ის 26 ივლისს 16:00 საათზე გადავიდა დასავლეთით საქართველოს ტერიტორიისკენ. მართლაც, ნახ 4.1.3 (დ) –დან კარგად ჩანს, რომ ყარაყუმის მტვრის ღრუბელმა საქართველოს ტერიტორიას მიაღწია და ჩრდილოეთ-დასავლეთით რუსეთისკენ გადაინაცვლა. უნდა აღინიშნოს, რომ გარდა ამისა, მტვრის ღრუბლების დიდი სისტემა რუსეთისკენ ჩრდილო-დასავლეთით მოძრაობს 27 ივლისის 06:00 საათზე (ნახ.4.1.3(დ)).



ნახ.4.1.3. WRF-Chem v.3.6.1 მოდელით რიცხვითი გამოთვლების შედეგები, შესრულებული უხეშ (a) - (d) და მეხეზრ (e) - (h) ზადებზე.


WRF-Chem-ის მიერ 1500 მ სიმაღლეზე შესრულებული გაანგარიშების შედეგები ნაჩვენებია ნახ.4.1.3(ე)-ზე (სთ). ნახ.4.1.3(დ)-გან განსხვავებით, რომელიც

შესრულებულია უხეშ ბადეზე, ნახ.4.1.3(ე) შესრულებულია მაღალი რეზოლუციის ქსელზე, ნათლად გვიჩვენებს, რომ თურქმენეთის უდაბნოში წარმოშობილი მტვრის ქარიშხალი აფხაზეთში მოვიდა 2018 წლის 27 ივლისის 06:00 საათზე. ნახ.4.1.3(ვ)-ზე ჩანს, რომ მტვრის ღრუბელმა შავი ზღვის სანაპირო ზოლს მიაღწია 27 ივლისს 10:00 საათზე და შემდეგ ნახ.4.1.3(გ)-ზე ჩანს, რომ მტვრის ღრუბელი გადაჭიმული იყო საქართველოს თითქმის მთელ ტერიტორიაზე (ზღვის დონიდან 1,5 კმ სიმაღლეზე) და მან 27 ივლისის 14:00 საათზე მიაღწია კავკასიის მთავარ ქედს. ნახ.4.1.3(თ)-ზე კარგად ჩანს, რომ მტვრის ნაკადის ძირითადმა ნაწილმა (ძირითადად კასპიის ზღვიდან შავი ზღვისკენ საქართველოს სატრანსპორტო დერეფნის გავლით), 27 ივლისის 18:00 საათზე გადალახა ლიხის ქედი და დაიკავა როგორც დასავლეთ საქართველოს, ისე ჩრდილოეთით - შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპირო ზონა. უნდა აღინიშნოს, რომ მტვრის ღრუბლები, რომლებიც ჩანს (გამოჩნდა) რუსეთის ტერიტორიაზე (ნახ.4.1.3(თ)) აშკარად იქნა გავრცელებული კასპიის ზღვიდან საჰაერო დინების მიერ (Davitashvili, 2019).

4.2 საქართველოში მტვრის ნაწილაკების გადატანის შესწავლა Hysplit მოდელით.

HYSPLIT მოდელი, წარმოადგენს ერთ–ერთ ყველაზე ხშირად გამოყენებულ ატმოსფერული ტრანსპორტირებისა და დისპერსიის მოდელს, რომელიც ემყარება ლაგრანჟის მიდგომას, რათა დაადგინოს ჰაერის ნაწილაკების გავრცელების ტრაექტორიები და ასევე ეილერის მეთოდოლოგიას ჰაერში ნივთიერებების კონცენტრაციის გამოსათვლელად (Draxler & Hess, 1998). HYSPLIT მოდელით შესაძლებელია რიჩხვითი თვლის შედეგების როგორც ნორმალური (normal), ასევე მატრიცული (matrix) და ანსამბლური (ensemble) ტრაექტორიების ტიპებით წარმოჩენა და მისი გაშვება შესაძლებელია „forward“ და „backward“ ტრაექტორიის დასადგენად. ამ ნაშრომში გამოყენებული იქნა HYSPLIT მოდელის პროდუქტების მატრიცული და ანსამბლური ტიპის ტრაექტორიები პოტენციური მტვრის წყაროების, მათი

ტრანსპორტირების მარშრუტების შესასწავლად და WRF Chem მოდელის თვლის შედეგების შესაფასებლად. ამრიგად, HYSPLIT მოდელი გამოიყენება საქართველოში (თბილისი (41°72 'N, 44°78'E) და ბათუმი (41 ° 38 ') N, 41 ° 38 'E)), მინერალური მტვრის ტრანსპორტირების შესასწავლად 2018 წლის 22-მარტიდან 24 მარტამდე.



ნახ.4.2.1 HYSPLIT მოდელის გამოთვლების შედეგები.

უდაბნოებიდან ტრანსპორტირებული მტვრის წყაროების დასადგენად და მათი გავრცელების ტრაექტორიის შესასწავლად, HYSPLIT მოდელის გამოყენებით ჩატარდა „forward“ და „backward“ ტრაექტორიების ორდღიანი ანალიზი. ნახ. 4.2.1(a),(b)-ში ნაჩვენებია HYSPLIT მოდელის განივი ჭრილები, შესაბამისად, 2018 წლის 22 მარტის 10:00 და 22:00 საათზე. ნახ.4.2.1(a)–ს ანალიზი აჩვენებს, რომ მტვრის ქარიშხალი ჩამოყალიბდა ლიბიის უდაბნოში, მტვრის აეროზოლის მაქსიმალური კონცენტრაცია აღინიშნება ხმელთაშუა ზღვის თავზე და მტვრის ღრუბელი მთლიანად მოიცავს 5

კილომეტრიან ვერტიკალური ფენას, ხოლო მტვრის აეროზოლების დიდი ნაწილი ვრცელდება მხოლოდ 2,5 კმ სიმაღლემდე. ნახ.4.2.1(a),(b)-ს შედარებითი კვლევა (მიღებული 12 საათის შემდეგ) აჩვენებს, რომ მტვრის ნაწილაკების დიდი ნაწილი ხმელთაშუა ზღვიდან თურქეთის მიმართულებით გადაადგილდა და შემდეგ შავი ზღვიდან შემოვიდა საქართველოში. ნახ.4.2.1(c)-ზე ნაჩვენებია HYSPLIT მოდელის „backward” ტრაექტორია, რომელიც მთავრდება 2018 წლის 23 მარტს (10:00 UTC), ნახ.4.2.1(c)-ზე (საწყისი წერტილი იყო თბილისში, ზღვის დონიდან 100, 500, 1000 მ სიმაღლეზე, გაანგარიშების ხანგრძლივობა იყო 24 საათი) ტრაექტორიის გავრცელების მიმართულება გვიჩვენებს, რომ მტვრის ნაკადი გაივლის საქართველოს, შავიზღვის, თურქეთისა და ხმელთაშუაზღვის გავლით. ხოლო ნახ. 4.2.1(დ)-ზე ჩანს HYSPLIT მოდელის „forward” ტრაექტორია, დაწყებული 10:00 UTC-დროს მომენტიდან. ნახ.4.2.1(დ)-დან ჩანს, რომ „forward” ტრაექტორია (ბათუმი ავირჩიეთ საწყის წერტილად) საქართველოს ტერიტორიიდან მიდის ჩრდილო-დასავლეთით შავიზღვისკენ და შემდგომ გადადის რუსეთში (სოჭი, კრასნოდარისმხარე). ამრიგად, HYSPLIT მოდელის გათვლებით, ხმელთაშუაზღვის სამხრეთ სანაპიროზე წარმოშობილმა მტვრის ქარიშხალმა რუსეთის (კრასნოდარისმხარე) და საქართველოს ტერიტორიებამდე მიაღწია.

4.3 WRF-Chem v.3.6.1 და HYSPLIT მოდელის თვლით მიღებული

შედეგების შედარება სატელიტურ CALIPSO და MODIS მონაცემებთან.

2006 წლის 28 აპრილიდან მზის სინქრონული სატელიტი A-Train-CALIPSO-ს იძლევა უამრავ მონაცემებს რეგიონში დედამიწის რადიაციულ ბალანსზე და კლიმატზე ღრუბლებისა და აეროზოლების ზემოქმედების შესასწავლად. CALIPSO სატელიტი შეიცავს 3 ინსტრუმენტს: Cloud-Aerosol Lidar ორთოგონალური პოლარიზაციით (CALIOP), ვიზუალიზაციის ინფრაწითელი რადიომეტრი (IIR) და Wide Field კამერა (WFC). CALIOP არის მთავარი ინსტრუმენტი CALIPSO სატელიტზე, რადგან ის იძლევა მნიშვნელოვან ინფორმაციას ღრუბლებისა და აეროზოლების ვერტიკალური და ჰორიზონტალური განაწილების შესახებ (Winker at al., 2007). CALIOP ინსტრუმენტი

ორბიტის 705 კმ სიმაღლეზე იღებს დღის და ღამის ფაზებში ელასტიური უკუქცევის ვერტიკალურ პროფილებს ორ ტალღის სიგრძეზე (532 ნმ და 1064 ნმ) და ასევე უზრუნველყოფს ხაზოვან დეპოლარიზაციის პროფილებს 532 ნმ-ზე, რაც საშუალებას იძლევა განვასხვავოთ ყინულისა და წყლის ღრუბლები, აგრეთვე ახდენს არასფერული აეროზოლური ნაწილაკების იდენტიფიცირებს საშუალებას (Winker et al., 2007). CALIPSO აფიქსირებს მტვრის აეროზოლების მოცულობის დეპოლარიზაციის მაჩვენებელს (მიღებული ლადარული სიგნალების პარალელური კომპონენტის პერპენდიკულარულად) 532 ნმ-ზე (Omar et al., 2009).


MODIS-ი არის მთავარი ინსტრუმენტი NASA-ს ბორტზე როგორც Terra (2000 წლის თებერვლიდან), ასევე Aqua (2002 წლის ივნისიდან) სატელიტებზე, რომლებიც ყოველდღიურად აკონტროლებენ დედამიწას ფართო სპექტრის დიაპაზონში. MODIS მნიშვნელოვან როლს ასრულებს დედამიწის სისტემის ისეთი მოდელების შემუშავებაში, რომელსაც შეუძლია ზუსტად გაითვალისწინოს გარემოში გლობალური ცვლილებები (Li & Sokolik, 2018). MODIS-ი Terra და Aqua ორბიტებზე, 705 კმ სიმაღლით, საშუალებას იძლევა დაფაროს სიგანე 2,330 კმ, მონაცემების მიღება 36 სპექტრალური ტალღის სიგრძისთვის 0,41-დან 14 მკმ-მდე და ეს გაზომვები გამოიყენება აეროზოლების სპექტრალური ოპტიკური სისქის პარამეტრების და აეროზოლის ზომის პარამეტრების მისაღებად ყოველ მეორე დღეს (Remer et al., 2005). ამ ნაშრომში გამოყენებული იქნა MODIS-ის მონაცემები (RGB 500 მ და 0,55 მკმ AOD მიღებული MOD04 2 -დან) მტვრის ღრუბლების შესაფასებლად და მტვრის ღრუბლების გამონაბოლქვის დიდი წყაროების დასადგენად. პოტენციური მტვრის უჯრედები განისაზღვრება MODIS სენსორის მიერ მოპოვებული აეროზოლების ოპტიკური სიღრმის (AOD) სიდიდეების საფუძველზე.

უპირველეს ყოვლისა, ორივე რიცხვითი მოდელის თვლის შედეგები შეფასდა მიწისზედა PM10 სიდიდეების გაზომვების (მიღებული NEA-დან) საშუალებით. ცხრ.4.3.1 გვიჩვენებს, რომ 2018 წლის 23 მარტს PM10 კონცენტრაციამ (საშუალოდ 24 საათის განმავლობაში) გადააჭარბა შესაბამის ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციის (ზღვ) (50 მკგ/მ^3) მნიშვნელობებს თბილისის ყველა რაიონში.

ცხრ. 4.3.1. 24-საათის განმავლობაში PM10–ის კონცენტრაციების საშუალო მნიშვნელობათა განაწილება თბილისის სხვადასხვა რაიონში (წითელი ფერით აღნიშნულია კონცენტრაციის მაქსიმალური მნიშვნელობები).

PM ₁₀ (mkg/m ³)	Tsereteli Avenue	Kazbegi Avenue	Varketili District	Vashlidjvari District	Average	BE	RMS
22/3/2018	49.0	57.0	42.0	41.0	47.25	-	-
23/3/2018	238.0	229.0	181.0	246.0	223.5	31.0 1	44.79
24/3/2018	178.0	174.0	126.0	195.0	168.25	37.2 3	52.67
25/3/2018	75.0	69.0	58.0	84.0	71.5	-	-

ცხრ.4.3.1 გვიჩვენებს, რომ PM10–ის კონცენტრაციების საშუალო მნიშვნელობა წერეთლის გამზირზე გაიზარდა 4,76- ჯერ, ყაზბეგის გამზირზე 4,58- ჯერ, ვარკეთილში- 3,62 ჯერ და მაქსიმალური მნიშვნელობა დაფიქსირდა ვაშლიჯვრის რეგიონში (გაიზარდა 4,92-ჯერ), რომელიც არის თბილისის ყველაზე დასავლეთი უბანი (ცხრ. 4.3.1-ში წითელი ფერით აღნიშნულია კონცენტრაციის მაქსიმალური მნიშვნელობები). ცხრ.4.3.1 გვიჩვენებს, რომ 2018 წლის 23 მარტს თბილისში PM10–ის კონცენტრაცია, საშუალოდ 4,46 – ჯერ მეტი იყო, ვიდრე შესაბამისი ზღვ. ცხრ.4.3.1სევე გვიჩვენებს, რომ ნაწილაკების აღნიშნული კონცენტრაცია შენარჩუნებულია 2018 წლის 25 მარტსაც.



ნახ.4.3.1 CALIOP ვერსიის 3.40-ით შესრულებული გაზომვები: (a) ვერტიკალური მახასიათებლის სახე და (b) -აეროზოლის ქვეტიპი.


ნახ.4.3.1(ა) გვიჩვენებს ყველა აეროზოლური ფენის მდებარეობას ჩრდილოეთ ყინულოვან ოკეანედან (კარა ზღვა: გრძედი - 71⁰,86', განედი: 61⁰,02') ისრაელამდე (გრძედი- 30⁰,42', განედი-36⁰,91'), ნახ.4.3.1(a)-დან ჩანს, რომ აეროზოლები (ნარინჯისფერი) ვერტიკალურ შრეებში ძირითადად კონცენტრირებულია 5 კმ-ზე ქვემოთ. გარდა ამისა, ნახ.3.4.1(a)-ის მარჯვენა მხარეს აღინიშნება აეროზოლური ნაწილაკების რაოდენობის ზრდა (ისრაელისა და სირიის ტერიტორიებზე), ისევე როგორც უზარმაზარი ღრუბლები 10 კმ სიმაღლეზე აჩენს სრულად შესუსტებულ ადგილებს ქალაქ აინ ისასთან (Ain Issa) (გრძედი-36⁰,49', განედი- 38⁰,59' ჩრდილოეთ სირიაში) სტავროპოლთან (გრძედი- 46⁰.06 ' , განედი- 42⁰.22', რუსეთი). ნახ.4.3.1(b) გვიჩვენებს აეროზოლის ქვეტიპებს, სადაც ყვითელი, წითელი და ყავისფერი წარმოადგენს მტვერს, დაბინძურებულ კონტინენტურ მტვერს და დაბინძურებულ მტვრის აეროზოლებს, შესაბამისად. ნახ.4.3.1(b) გვიჩვენებს, რომ ისრაელისა და სირიის ტერიტორიები დაფარულია ძლიერი მტვრის ღრუბლებით, მაგრამ ჩვენი ინტერესის ადგილები, როგორცაა კრეტა, როდოსი და თურქეთი, მიუწვდომელია CALIOP დაკვირვებისთვის. ნახ.4.3.1-ზე (c) და (d) (მიღებული დღისით - 2018 წლის 23 მარტის 10:30 საათიდან 10:43 საათამდე) CALIOP 3.40 –ის მიხედვით ძირითადად ასახავს სომალის, იემენის, საუდის არაბეთის, ერაყის, თურქეთის, შავი ზღვის წყლების (ტუაფსე), რუსეთის (კრასნოდარის მხარე) და უკრაინის (ხარკოვი) აეროზოლურ ღრუბლებს. ნახ.4.3.1- ზე (c)-(d) ნახაზების ანალიზი გვიჩვენებს, რომ თურქეთის

ტერიტორია აეროზოლური ღრუბლებით არის დაფარული, მაგრამ შავი ზღვის, საქართველოს სანაპირო რაიონებისა და კრასნოდარის ტერიტორიის (სოჭის) წყლები არ იყო ხელსაყრელი რათა CALIOP მოწყობილობას ეწარმოებინა გაზომვები.

ცხრ.4.3.2. PM10-ის 24-საათიანი საშუალო კონცენტრაციების განაწილება თბილისის სხვადასხვა უბანში.

PM ₁₀ (mkg/m ³)	Tsereteli Avenue	Kazbegi Avenue	Varketili District	Vashlidjvari District	Average	BE	RMSE
26/7/2018	56.0	89.0	52.0	45.0	61.0	-	-
27/7/2018	148.0	179.0	152.0	206.0	172.0	33.17	47.31
28/7/2018	78.0	74.0	76.0	95.0	81.0	-	-
29/7/2018	52.0	53.0	54.0	55.0	54.0	-	-


